სამეწარმეო განათლება ევროპის სკოლებში

ევრიდიკეს ანგარიში (2016)*

ნათარგმნი და შემოკლებულია

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მიერ

სამეწარმეო განათლება ევროპის სკოლებში
ევრიდიკეს ანგარიში (2016)*

ნათარგმნი და შემოკლებულია
კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მიერ

ctc Empowering People for Change

SKOLA-LAB
სკოლა-ლაბი

შესავალი

სამეწარმეო განათლების განვითარება და მხარდაჭერა დიდი ხანია ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების პოლიტიკის ერთერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს. ახალგაზრდობის უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის, ეკონომიკური კრიზისებისა და მკვეთრი ცვლილებების ფონზე, რაც კომპლექსურ, ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკასა და საზოგადოებას უკავშირდება, ნათელია, რომ ტრანსფერული უნარები, კონკრეტულად, მეწარმეობა, არსებითად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ადამიანების აქტიურ, კრეატიულ და მეწარმე მოქალაქეებად ჩამოყალიბებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევის შედარებით ახალ სფეროს წარმოადგენს, უკვე საკმაოდ მყარი მტკიცებულებები არსებობს, რომელიც ადასტურებს სამეწარმეო განათლების სარგებელს როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოებისთვის. ეროვნულ დონეზე ჩართულობის განსხვავებული მაჩვენებლები გვხვდება, ზოგი ქვეყანა ათწლეულზე მეტია ამ მიმართულებით მუშაობს, ზოგმა კი სულ ახლახან დაიწყო სამეწარმეო განათლების მათი საგანმანათლებლო პოლიტიკის ნაწილად მოაზრება. ევროკომისიის 2012 წლის დოკუმენტში Rethinking education: Investing in skills for better socio-economic outcomes ხაზგასმულია ტრანსფერული უნარების, კონკრეტულად კი, სამეწარმეო უნარების, მნიშვნელობა და მოცემულია რეკომენდაცია:

„წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ სამეწარმეო უნარების განვითარებას სწავლებისა და სწავლის ახალი და შემოქმედებითი მეთოდებით დაწყებითი საფეხურებიდანვე, ამასთანავე, საშუალოდან უმაღლეს განათლებაში ფოკუსირება მოახდინონ ბიზნესის შექმნის, როგორც კარიერული დანიშნულების ადგილის შესაძლებლობაზე. რეალური სამყაროს გამოცდილება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა და საწარმოებთან კავშირების მეშვეობით, ჩაშენებული უნდა იყოს ყველა დისციპლინაში და მორგებული განათლების ყველა საფეხურზე. ყველა ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს სულ მცირე ერთი პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილება, სანამ დატოვებს სავალდებულო განათლებას“.

მეწარმეობის 2020 წლის სამოქმედო გეგმაში (Entrepreneurship 2020 Action Plan), რომელიც 2013 წელს გამოქვეყნდა, სამეწარმეო განათლება დასახელებულია სამიდან ერთერთი სფეროდ, რომელიც სასწრაფო ინტერვენციას საჭიროებს. 2014 წელს საბჭომ წარმოადგინა რეკომენდაციები, სადაც აღნიშნულია, რომ „სამეწარმეო აზროვნების განვითარებას ძალუძს მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა, როგორც პროფესიულ, ასევე, პირად ცხოვრებაში“.

წინამდებარე დოკუმენტი, ითვალისწინებს რა ევრიდიკეს (Eurydice) მეწარმეობის შესახებ წინა ორი ანგარიშის მონაცემებს, მიზნად ისახავს, წარმოადგინოს განახლებული რელევანტური ანალიზი სტრატეგიების, კურიკულუმისა და სწავლის შედეგების თვალსაზრისით.

ანგარიში მოიცავს 5 თავს, თითოეული ასახავს ევროპის სკოლებში სამეწარმეო განათლების სხვადასხვა ასპექტებს, ბოლო თავი კი - საკვანძო საკითხების შეჯამებას.

თავი 1: სამეწარმეო განათლების განსაზღვრება და კონტექსტი

სამეწარმეო განათლების მიდგომები და მიზნები ქვეყნების კონტექსტისა და კონცეფციის გაგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განსხვავდებოდეს. ერთი ნაწილი მას ვიწრო ჭრილში განიხილავს და იმ დამოკიდებულებებისა და უნარების შეძენაზე ფოკუსირდება, რაც ახალგაზრდებს საკუთარი ბიზნესის წამოსაწყებად ან თვითდასაქმებისთვის სჭირდებათ, მეორე მხრივ, კი მეწარმეობა განხილულია, როგორც საკვანძო კომპეტენცია, რომელიც ორიენტირებულია ახალგაზრდების გაძლიერებასა და იმ ტრანსფერული უნარებით აღჭურვაზე, რაც აქტიური მოქალაქეობისთვის, დასაქმებისთვის და მეწარმეობისთვისაა საჭირო (ეს უკანასკნელი განხილულია როგორც შესაძლო, მაგრამ არა აუცილებელი).

1.1 სამეწარმეო განათლების განსაზღვრება

ამ ანგარიშის საფუძველს წარმოადგენს ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის რეკომენდაცია მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისთვის საკვანძო კომპეტენციების შესახებ, რომლის მიხედვითაც, „ინიციატივისა და მეწარმოების შეგრძნება“ (sense) რვიდან ერთერთ საკვანძო კომპეტენციად დასახელდა. მეწარმეობის კონცეპტუალიზაცია, მოგვიანებით ევროპის კომისიის სამეწარმეო განათლების თემატურ სამუშაო ჯგუფებში მეტად განვითარდა და შემდეგნაირად განისაზღვრა:

„სამეწარმეო განათლება გულისხმობს მსწავლელში იმგვარი უნარებისა და აზროვნების განვითარებას, რაც კრეატიული იდეის მეწარმეობრივ მოქმედებად გადაქცევისთვისაა საჭირო. ეს წარმოადგენს ძირითად კომპეტენციას ყველა მოსწავლისათვის, ეხმარება პერსონალურ განვითარებას, აქტიურ მოქალაქეობას, სოციალურ ინკლუზიასა და შრომისუნარიანობას. რელევანტურია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პროცესში, განათლების ყველა დისციპლინისთვის და სწავლების/ტრენინგის ნებისმიერი ფორმისთვის (ფორმალური, არაფორმალური, ინფორმალური), რასაც წვლილი შეაქვს სამეწარმეო სულისკვეთებისა თუ ქცევის ჩამოყალიბებაში, მიუხედავად იმისა, ემსახურება თუ არა იგი კომერციულ ინტერესს“.

მეწარმეობის, როგორც საკვანძო კომპეტენციის, ფართოდ გავრცელებული ევროპული გაგება ორმაგ ფოკუსზე მიუთითებს. პირველ რიგში, სამეწარმეო დამოკიდებულებების, ცოდნისა და უნარების განვითარებამ ინდივიდს უნდა შეაძლებინოს იდეების ქცევებად ქცევა. მეორე - მეწარმეობა არაა დაკავშირებული მხოლოდ ეკონომიკურ აქტივობებთან და ბიზნესის დაწყებასთან, არამედ უფრო ფართოა და ცხოვრებისა და საზოგადოების ყველა სფეროს მოიცავს. ინოვაციური და კრეატიული მოქმედება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ახალ, ასევე უკვე არსებულ ორგანიზაციაში, როგორც ე.წ. „მეწარმეობრივი ქმედება“.

წინა კვლევამ ევროპის ქვეყნების სამეწარმეო განათლებისადმი პრაქტიკულ მიდგომებში მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოავლინა, რაც სამეწარმეო განათლების სხვადასხვაგვარმა ინტერპრეტაციამ და გაგებამ განაპირობა. იქ, სადაც სახელმწიფოს ინტერვენცია ლიმიტირებულია, ანდაც გაზიარებული ინტერპრეტაციები - ნაკლოვანი, ჩართულ მხარეებს საერთო გაგების მიღწევის მხრივ სირთულე ექმნებათ.

ევროპის ქვეყნებში ჩატარებულმა სპეციალურმა გამოკითხვამ ორი ძირითადი მიდგომა გამოავლინა. პირველი, ევროპული განმარტების მსგავსად, მეწარმეობის **ფართო** გაგებას გულისხმობს, რითაც ხაზს უსვამს სწავლის შედეგებს, რომელიც დაკავშირებულია დასაქმებასთან, აქტიურ მოქალაქეობასთან და სამეწარმეო უნარებთან ცხოვრებასა და სამუშაოსთვის. მეორე არის **ვიწრო** მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება სწავლის შედეგებზე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ბიზნესაქტივობას, ანუ როგორ დააფუძნო და მართო კომპანია.

სამეწარმეო განათლების ევროპულ დეფინიციას ევროპული ქვეყნების ნახევარი იყენებს, ქვეყნების მესამედს საკუთარი ეროვნული განმარტება აქვს, თითქმის ათ სახელმწიფოში ეროვნულ კონტექსტში შეთანხმებული დეფინიცია საერთოდ არ არსებობს. ეროვნული განმარტებების უმეტესობა სამეწარმეო განათლების ფართო გაგებას ასახავს, ევროპული საკვანძო კომპეტენციების განსაზღვრების მსგავსად. მისი როლი და მიზანი, ამ შემთხვევაში, არამხოლოდ სამსახურისა და ბიზნესის, არამედ ინდივიდის ცხოვრების უფრო ზოგად კონტექსტს მოიცავს. შედარებით ცოტა რაოდენობა ქვეყნებისა სამეწარმეო განათლებას ეროვნულ დონეზე უფრო ვიწრო ჭრილში განმარტავს (ესპანეთი, გაერთანებული სამეფო - ირლანდია და ნორვეგია).

1.2 სამეწარმეო განათლების კონტექსტი

მეწარმეობის შესახებ დამოკიდებულებებისა და ინდივიდების მიერ საკუთარი სამეწარმეო უნარების თვითაღქმა

ევრობარომეტრმა მეწარმეობის შესახებ, რომელიც 2012 წელს გამოქვეყნდა (Entrepreneurship in EU) გარკვეული ნათელი მოჰფინა მეწარმეობისა და მეწარმეების შესახებ ევროპაში გავრცელებულ აღქმებსა და დამოკიდებულებებს. რესპონდენტებს (15 წელზე ზემოთ) ეკითხდებოდნენ ეთანხმებოდნენ თუ არა გარკვეულ მოსაზრებებს მეწარმეობის შესახებ. უმრავლესობამ (87%) აღნიშნა, რომ მეწარმეები არიან „სამუშაო ადგილების შემქმნელები“, „ქმნიან პროდუქტებსა და სერვისებს, რასაც ყველასთვის მოაქვს სარგებელი“ (79%), თუმცა ასევე დიდმა ნაწილმა ნეგატიური განწყობებიც გამოხატა - „იყენებენ სხვა ადამიანების შრომას“ (57%), „მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე ზრუნავენ“ (52%). მაჩვენებლები ქვეყნების მიხედვითაც განსხვავდებოდა, მაგალითად, დანიასა და ავსტრიაში „იყენებენ სხვა ადამიანების შრომას“ გამოკითხულთა 20% და 33% ეთანხმებოდა, პოლონეთში - 91%, ლატვიასა და სლოვაკეთში - 80%. მოსაზრებას, რომ „მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე ზრუნავენ“ დანიაში რესპონდენტთა 26% ეთანხმებოდა, ირლანდიაში - 36%, ფინეთში - 38%, ამის საპირისპიროდ, კვიპროსში - 70%, საბერძნეთსა და ლიტვაში - 67%. ასეთი კომპლექსური და ზოგჯერ გაყოფილი მოსაზრებები მეწარმეებისა და მეწარმეობის შესახებ, შესაძლოა, გარკვეულწილად, სამეწარმეო განათლების მიმართ არსებულ განსხვავებულ დამოკიდებულებებსაც ხსნიდეს.

იგივე გამოკითხვა იკვლევდა განათლების როლს სამეწარმეო აქტივობების მხრივ. რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, სკოლის პერიოდში თუ მიუღიათ მონაწილეობა მეწარმეობასთან დაკავშირებულ რაიმე კურსში ან აქტივობაში (განმარტებული იყო, როგორც იდეების ქმედებად ქცევა და საკუთარი პროექტის შედგენა). ევროპელების მეოთხედზე ნაკლებმა (23%) აღნიშნა, რომ ასეთი გამოცდილება ჰქონია, 76% კი განაცხადა, რომ ამგვარ აქტივობაში მონაწილეობა არ მიუღია. გასაკვირი არაა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა რესპონდენტები უფრო მეტი სიხშირით აფიქსირებდნენ დადებით პასუხებს. 15-24 ასაკის ევროპელების 34%-მა დაადასტურა სამეწარმეო აქტივობაში ჩართულობა. შედეგები განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვითაც - ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფინეთში (39%), ნიდერლანდებში (36%) და სლოვენიაში (36%) დაფიქსირდა, ყველაზე დაბალი კი - საბერძნეთში (17%), იტალიაში (16%), მალტასა და დიდ ბრიტანეთში (15%).

კვლევა აგრეთვე მოიცავდა დეტალურ კითხვებს სკოლაში სამეწარმეო განათლების როლისა და სწავლის შედეგების შესახებ, მაგალითად:

- „ჩემი სასკოლო განათლება მეხმარება/მეხმარებოდა ინიციატივის უნარისა და სამეწარმეო დამოკიდებულების განვითარებაში“
- „ჩემი სასკოლო განათლება მეხმარებოდა/მეხმარება, საზოგადოებისთვის მეწარმის როლის უკეთ გაგებაში“
- „ჩემი სასკოლო განათლება მაძლევდა/მაძლევს იმ უნარებსა და ცოდნას, რაც საჭიროა საკუთარი ბიზნესის სამართავად“
- „ჩემი სასკოლო განათლება ინტერესს მიჩენს/მიჩენდა გავხდე/გავმხდარიყავი მეწარმე“.

ამ კითხვების შორის გარკვეული პროგრესია არსებობს, პირველი ფოკუსირდება დამოკიდებულებებსა და ტრანსფერულ უნარებზე, მეორე - მეწარმეების შესახებ ცოდნაზე, მესამე - კონკრეტულ ბიზნესუნარზე და მეოთხე - მეწარმედ გახდომის განზრახვაზე. ევროპელი რესპონდენტების ნახევარმა დადებითად უპასუხა პირველ კითხვას, 47%-მა დაადასტურა, რომ სკოლა ეხმარებოდა საზოგადოებაში მეწარმეების როლის უკეთ გაგებაში, 41%-მა კი აღნიშნა, რომ სასკოლო განათლებამ მისცა ბიზნესის მართვისთვის საჭირო უნარები, თუმცა, მხოლოდ 28%-მა დააფიქსირა მეწარმეობის ინტერესი. აქვე აღსანიშნავია, რომ 15-24 წლის ასაკის რესპონდენტები უფრო მეტად პასუხობდნენ დადებითად, ვიდრე უფროსი ასაკის ადამიანები.

ფინანსური წიგნიერება და პრობლემის კრეატიულად გადაჭრის უნარი

ფინანსური წიგნიერება, ტრადიციულად, ასოცირებულია სამეწარმეო განათლებასთან. ზოგ შემთხვევაში, ეს ორი ცნება გათანაბრებულიც კია. ნებისმიერ შემთხვევაში, ფართოდაა აღიარებული და არსებობს მოლოდინი, რომ ფინანსური წიგნიერება სამეწარმეო განათლების სწავლის შედეგს წარმოადგენს. გარდა ამისა, ის ერთერთი იმ იშვიათ უნართაგანია, რომლის შემოწმებაც სისტემატურად ხდებოდა.

2012 წელს PISA-მ პირველად მოიცვა ფინანსური წიგნიერების შეფასება. PISA ფინანსურ წიგნიერებას შემდეგნაირად განმარტავს: „ფინანსური კონცეპტებისა და რისკების ცოდნა/გაცნობიერება და უნარები, მოტივაცია და თავდაჯერება, გამოიყენოს ეს ცოდნა ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად ფართო ფინანსურ კონტექსტში, რათა გაუმჯობესოს ინდივიდებისა და საზოგადოების ფინანსური კეთილდღეობა და შეძლოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა“. შედეგების მიხედვით, ევროპის 18 მონაწილე ქვეყნიდან OECD-ის საშუალოზე მეტი ქულა მიიღეს ბელგიის, ესტონეთის, ჩეხეთის, პოლონეთისა და ლატვიის მოსწავლეებმა, საშუალოზე ნაკლები შედეგი აჩვენეს - სლოვაკეთის, ხორვატიის, ესპანეთის, სლოვენიისა და საფრანგეთის მოსწავლეებმა. ძალიან საინტერესოა, რომ საუკეთესო შედეგები დაფიქსირდა შანხაიში, მაშინ, როდესაც, ჩინეთში ფინანსური განათლება საერთოდ არ არის სასკოლო პროგრამის ნაწილი. ეს მოწმობს იმაზე, რომ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ ვიცით იმის შესახებ, თუ როგორ განვავითაროთ ისეთი ტრანსფერული უნარი, როგორიცაა ფინანსური წიგნიერება.

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარი ასევე 2012 წლიდან არის ინტეგრირებული PISA-ს ტესტში, ხოლო შეფასების მომდევნო რაუნდი პრობლემის კოლაბორაციულ გადაჭრასაც შეამოწმებს (2018 წ). ორივე მათგანი სამეწარმეო უნარებთანაა დაკავშირებული, რადგან ისეთ ძირეულ საერთო ელემენტებს მოიცავენ, როგორიცაა გაურკვევლობასთან გამკლავება, ინიციატივის განვითარება და ინოვაციური გადაწყვეტილების ძიება. PISA პრობლემის გადაჭრის უნარს განმარტავს, როგორც „ყოველი საქმიანობის წარმატების გასაღებს“ და აღნიშნავს, რომ მისი განვითარება შესაძლებელია სასკოლო საგნების მეშვეობით. 2012 წლის შედეგებმა აჩვენა, რომ 15 წლის მოზარდების დიდ ნაწილს ჯერ კიდევ აკლია პრობლემის გადაჭრის საბაზისო უნარები.

განზრახვები მეწარმეობის შესახებ და თვითდასაქმების მაჩვენებელი ახალგაზრდებში

ევრობარომეტრის გამოკითხვა (2014 წ.) აჩვენებს, რომ ბევრი ევროპელი ახალგაზ-

რდა მეწარმეობას უმუშევრობის კრიზისთან ბრძოლაში ალტერნატიულ გადაწყვეტად არ აღიქვამს. მეტიც, გამოკითხულთა (15-29 წლის პირები) ნახევარს (52%), საკუთარი ბიზნესის წამოწყების სურვილი არ აქვს, ხოლო 22% აცხადებს, რომ სურვილი აქვს, თუმცა ამის გაკეთება ზედმეტად რთულია. მხოლოდ 17% აღნიშნა, რომ საკუთარი საქმიანობის წამოწყებას უახლოეს მომავალში აპირებს, 5%-ს უკვე აქვს ასეთი გამოცდილება, 3%-მა კი განაცხადა, რომ ჰქონდა მცდელობა, თუმცა თავი დაანება, რადგან რთული იყო. მეწარმეობისადმი მზაობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ლიტვასა (32%) და რუმინეთში (33%), შედარებით ნაკლები - გერმანიასა (11%) და საბერძნეთში (11%), ყველაზე დაბალი კი - ირლანდიაში (2%).

ევროსტატის მონაცემების მიხედვით, დასაქმებულთა პოპულაციაში თვითდასაქმებული ახალგაზრდების (20-24 წელი) ყველაზე ნაკლები რაოდენობა ესტონეთსა (1.5%) და ირლანდიაში (1.7%) გვხვდება, ყველაზე მეტი კი იტალიაში (13.7%), საბერძნეთსა (11.3%) და რუმინეთში (11.2%). 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში დანიასა და ნორვეგიაში ყველაზე დაბალი მონაცემებია - 3.9% და 4%, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კი იტალიასა - 16.2% და საბერძნეთში - 16.1%. ცხადია, ეს შედეგები განხილული უნდა იყოს უფრო ფართო კონტექსტის, თითოეული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, ქვეყანაში კერძო და საჯარო სექტორის ზომის, უმუშევრობის მაჩვენებლისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით. ამ კუთხით, იტალია და საბერძნეთი ყველაზე რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან, რამაც, შესაძლოა, ახსნას ამ ქვეყნებში თვითდასაქმების უფრო მაღალი დონე, ე.ი. ისინი ამ გზას საჭიროებიდან გამომდინარე ირჩევენ, იმის ფონზე, რომ დასაქმების სხვა საშუალებები ხელმისაწვდომი არაა.

ამგვარად, სამეწარმეო განათლება წარმოადგენს ერთერთ ელემენტს, რომელსაც, უნარების განვითარებითა და სამეწარმეო კულტურის შექმნით, შეუძლია, ბიზნეს სტარტაპების რაოდენობა და თვითდასაქმებულთა რიცხვი გაზარდოს.

თავი 2: სტრატეგიები და დაფინანსების სქემები

ამ ანგარიშის მიზნებისთვის სტრატეგიები დაყოფილია შემდეგ ტიპებად:

კონკრეტული სტრატეგიები, რომლებიც ექსკლუზიურად სამეწარმეო განათლებაზე ფოკუსირდება, ხშირად მთავრობაში ერთიან ხედვას ავითარებს, ასახავს სხვადასხვა სამინისტროების პოლიტიკის პრიორიტეტებს - მაგალითად, განათლების, ინოვაციისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით და აერთიანებს მათთან დაკავშირებულ ქმედებებს.

ფართო საგანმანათლებლო სტრატეგიები, რომელშიც ინტეგრირებულია სამეწარმეო განათლების მიზნები - როგორიცაა სწავლება და ტრენინგი, ახალგაზრდობის ან მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების სტრატეგიები.

ფართო, ეკონომიკასთან დაკავშირებული სტრატეგიები, რომელშიც ასახულია სამეწარმეო განათლება, მეწარმეობა, დასაქმება ან მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიები.

სამეწარმეო განათლების პოლიტიკის ლანდშაფტი

2003 წელს ევროპამ სამეწარმეო განათლების მნიშვნელობა პირველად ახსენა პუბლიკაციაში European Green Paper on Entrepreneurship in Europe. ევროპის დონეზე ეს იყო პირველი ბმა განათლებასა და სამეწარმეო კულტურისა და მასთან ასოცირებული უნარების განვითარებას შორის. ამას მოჰყვა საუკეთესო პრაქტიკის

სხვა ამსახველი დოკუმენტები, მათ შორის, გავლენიანი „ოსლოს დღის წესრიგი“ (Oslo Agenda, 2006.). პირველად ისტორიაში, ოსლოს დღის წესრიგმა წევრ სახელმწიფოებს მოსთხოვა, „შეექმნათ სამეწარმეო განათლების ეროვნული სტრატეგიები, რომელსაც ექნებოდა მკაფიო მიზნები განათლების ყველა საფეხურისათვის“. დოკუმენტი ხაზს უსვამდა, რომ ამ სტრატეგიებს უნდა მოეცვა ყველა რელევანტური დაინტერესებული მხარე, დაედგინა ზოგადი ჩარჩო და, ამასთანავე, განესაზღვრა კონკრეტული ქმედებები. ამ ქმედებების დიაპაზონი შესაძლოა, ყოფილიყო ფართო სპექტრის - ეროვნულ პროგრამებში მეწარმეობის ინტეგრირებიდან დაწყებული, სკოლებისა და მასწავლებლებისათვის მხარდაჭერის უზრუნველყოფამდე. საბოლოო მიზანს წარმოადგენდა - „დავრწმუნდეთ, რომ ახალგაზრდებს აქვთ საშუალება, სისტემატურად აითვისონ სამეწარმეო კომპეტენციები საგანმანათლებლო სისტემის ყველა საფეხურზე“.

2009 წელს DG Enterprise და DG Education and Culture-ს ინოვაციური ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, განათლებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებმა სამეწარმეო განათლების პოლიტიკა და პრაქტიკა განიხილეს. ამის საფუძველზე 2010 წელს შედგა ანგარიში - Towards Grater Coherence in Entrepreneurship Education, სადაც წარმოდგენილია წარმატებული სტრატეგიული მიდგომების 3 არეალი (ბიზნესზე ფოკუსირებული თემებიდან უფრო ჰოლისტურ სამეწარმეო მოდელზე გადასვლა, პოლიტიკის შემქმნელებსა და სტეიქჰოლდერების გაზიარებულ ხედვის ჩამოყალიბება, მასწავლებლების, სკოლებისა და ბიზნესის წამყვანი როლების გააზრება და მხარდაჭერა), რომლის საფუძველზეც, საბოლოოდ, სტრატეგიული მიდგომების განვითარების მხარდასაჭერად, შეიქმნა „პროგრესიის მოდელი“. ეს მოდელი ერთგვარ ჩარჩოს წარმოადგენს, რომელიც ქვეყნებს საშუალებას აძლევს, დაადგინონ პრიორიტეტები ეროვნული სტრატეგიებისთვის და დააიდენტიციფირონ თავიანთი განვითარების ამჟამინდელი ეტაპი სტრატეგიული განვითარების კონტინუუმზე *(მოდელი მოცემულია ანგარიშის ბოლოს)*.

2014-2015 წლების მონაცემებით ევროპის 38-დან 29 ქვეყანაში არსებობს ფართო ან კონკრეტული სტრატეგია, რომელიც სამეწარმეო განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს. 11 ქვეყანა/რეგიონს კონკრეტული სტრატეგია აქვს, 18-ს კი უფრო ფართო. 9 ქვეყანაში ეროვნულ დონეზე რაიმე რელევანტური სტრატეგია საერთოდ არ არსებობს (ხორვატია, იტალია, კვიპროსი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, მალტა, პორტუგალია, გაერთიანებული სამეფო-ინგლისი და ისლანდია).

მაგალითები

ბელგიის სამივე თემს კონკრეტული სტრატეგია 2007 წლიდან აქვს. ფრანგული და გერმანულენოვანი რეგიონების სტრატეგიას „მეწარმეობისა და ინოვაციის სააგენტო“ (AEI) ხელმძღვანელობს. სტრატეგიის მოქმედებები დეტალურადაა აღწერილი და ფარავს პრაქტიკულ სამეწარმეო გამოცდილებას, კარიერულ ხელმძღვანელობასა და მასწავლებლების მხარდაჭერას. მასში ხაზგასმულია ბიზნესის ჩართულობის მნიშვნელობა განათლებისა და ტრენინგის სფეროში. ბელგიის ფლამანდურ თემში პირველი სტრატეგია 2007 წელს შეიქმნა, მეორე სტრატეგია - „სამეწარმეო სულისა და მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერის სამოქმედო გეგმა“ (2011-2014), ოთხ პრიორიტეტს გამოყოფს: სამეწარმეო სულისკვეთების განვითარების ხელშეწყობა, პრაქტიკული მეწარმეობის სწავლების შესაძლებლობების შექმნა, ადამიანების მეწარმეებად გახდომის მოტივაციის გაზრდა და დარწმუნება, რომ მასწავლებლები ავლენენ სამეწარმეო სულისკვეთებას და ახდენენ მეწარმეობის შესახებ დაბალანსებული ხედვის დემონსტრირებას.

ესტონეთს აქვს კონკრეტული სტრატეგია (*Entrepreneurship Education Development Plan: Be Enterprising!*), რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესახებ ეროვნულ სტრატეგიას ებმის და ფოკუსირდება მრავალ საკვანძო საკითხზე, მათ შორის, სწავლის შედეგების მნიშვნელობაზე, კურიკულუმსა და მასწავლებლებზე.

ფინეთში „სახელმძღვანელო სამეწარმეო განათლებისთვის“ (2009) მხარდაჭერილი

იყო YES-ის ქსელის სამეწარმეო განათლების 19 რესურსცენტრის მხრიდან. სტრატეგია მიზნად ისახავს სამეწარმეო კულტურის, აქტიური მოქალაქეობისა და ბიზნეს სტარტაპების მხარდაჭერას. სტრატეგიულმა ამოცანებმა საბოლოოდ გამოიწვია ფართო პროექტის „Me and MyCity" შექმნა, რაშიც მოსწავლეების დიდი ნაწილია ჩართული.

შვედეთმა შექმნა „მეწარმეობის სტრატეგია განათლების სფეროში" (შეიქმნა 2009 წელს და არ აქვს დასრულების თარიღი). სტრატეგია მოიცავს ორმაგ ფოკუსს - განავითაროს საკვანძო კომპეტენციის მიდგომა განათლებაში და წაახალისოს ადამიანები, დააარსონ საკუთარი კომპანიები. დოკუმენტი მოიცავს შედარებით ნაკლებ, 11 მოქმედებას.

ის გარემოება, რომ ჩრდილოეთის ქვეყნების დიდ ნაწილში კონკრეტული სტრატეგიები გვხვდება, შეიძლება, დავუკავშიროთ მათ მისწრაფებას ინოვაციის მიმართ, რასაც საერთაშორისო რეიტინგებში მიღებული მუდმივად მაღალი შედეგები ადასტურებს. შვედეთი, ფინეთი და დანია წამყვან ადგილებს იკავებენ 2015 წლის European Innovation Scorecard-ში და გლობალური ინოვაციის ინდექსით (Global Innovation Index) ტოპ ათეულს მიეკუთვნებიან.

18 ქვეყნიდან, სადაც უფრო **ფართო** სტრატეგიებია წარმოდგენილი, ათი საგანმანათლებლო სივრცეში ექცევა. აქედან სამს აქვს - განათლებასთან დაკავშირებული სტრატეგიები (საბერძნეთი, ლატვია და თურქეთი), ოთხს - განგრძობადი განათლების სტრატეგიები (ბულგარეთი, უნგრეთი, ავსტრია და პოლონეთი), ხოლო სამის სტრატეგია დაკავშირებულია ახალგაზრდობის სფეროსთან (სლოვაკეთი, სლოვენია და სერბეთი). დანარჩენი 8 ქვეყნის ფართო სტრატეგია განვითარებულია საგანმანათლებლო სივრცის გარეთ და უმეტესად ეკონომიკისა და ინოვაციებს ებმის (ინოვაციური სტრატეგიები - ჩეხეთი, დანია, საფრანგეთი, ბრიტანეთი - ჩრდილოეთ ირლანდია, ბრიტანეთი - შოტლანდია, ეკონომიკასთან დაკავშირებული სტრატეგიები - ლიტვა, რუმინეთი, ესპანეთი).

2.2 დაფინანსების სქემები

ქვეყნებს სამეწარმეო განათლების დაფინანსების უზრუნველსაყოფად განსხვავებული წყაროები აქვთ. კონკრეტული ან ფართო სტრატეგიის დანერგვისთვის, შესაძლოა, ცალკე ბიუჯეტი იყოს გამოყოფილი - ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ქვეყანა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ სტრატეგიას. ასევე, შესაძლოა, გამოყოფილი იყოს ცალკეული ბიუჯეტი სამეწარმეო განათლებისთვის მაშინაც კი, როდესაც სტრატეგია საერთოდ არ არსებობს. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, კონკრეტულია სტრატეგია თუ ფართო, სახელმწიფო ბიუჯეტში შესაძლოა, მისთვის ცალკე არ იყოს გამოყოფილი სახსრები და ერთიანი ბიუჯეტიდან ფინანსდებოდეს (მაგალითად, სამინისტროს).

ზოგ ქვეყანაში სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ეროვნულ სახსრებთან ერთად, შესაძლოა განხორციელდეს ევროპის ფონდებიდან, როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი სახით. პირველ შემთხვევაში, დაფინანება პირდაპირ ევროპულ ინსტიტუტებში მიედინება, მეორე შემთხვევაში კი არსებობს სხვა შუამავალი, ევროპულ ინსტიტუციებსა და საბოლოო ბენეფიციარებს შორის, რომელიც პასუხისმგებელია გამოყოფილი თანხების მართვაზე.

27 ქვეყანა/რეგიონი თანხებს სამეწარმეო განათლებისთვის ეროვნული ბიუჯეტიდან (ერთიანი თუ კონკრეტული) გამოყოფს. მათგან 24 დამატებით ევროპის ფონდების დაფინანსებასაც (პირდაპირი ან არაპირდაპირი) იყენებს. რამდენიმე ქვეყანაში კი მოლოდ ევროპის ფონდების მიერ გაცემული თანხებია ხელმისაწვდომი (ხორვატია, უნგრეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა და თურქეთი).

თითქმის ყველა ქვეყანა, რომელსაც სამეწარმეო განათლების შესახებ კონკრეტუ-

ლი სტრატეგია აქვს შემუშავებული (ნორვეგია გამონაკლისი), მისი დანერგვისთვის დაფინანსებას, ხშირად, როგორც ეროვნული, ასევე ევროპული ფონდებიდან გამოყოფს.

საინტერესოა, რომ სამ ქვეყანაში (ლუქსემბურგი, მალტა და ნიდერლანდები), სადაც სამეწარმეო განათლებისთვის კონკრეტული ბიუჯეტია შედგენილი, ამ მიმართულებით სტრატეგია საერთოდ არ არსებობს, რამდენიმე ქვეყანაში კი პირიქით, შემუშავებულია სტრატეგია, თანხა კი არაა გამოყოფილი. ეს ქვეყნებია ნორვეგია (კონკრეტული სტრატეგია), საბერძნეთი (საგანმანათლებლო სტრატეგია) და ლიტვა (ეკონომიკური განვითარების სტრატეგია).

ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც სამეწარმეო განათლებისთვის ეროვნული დაფინანსებაა გამოყოფილი (ცალკეული თუ ერთიანი), დამატებითი თანხებია განსაზღვრული სტრატეგიების იმპლემენტაციისთვის (მაგალითად, დანია, საფრანგეთი, ავსტრია და შვედეთი).

საფრანგეთში სამეწარმეო განათლება ინოვაციური სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს და 2014-2019 წლებში 20 მილიონი ევროთი იყო დაფინანსებული. შვედეთში შემუშავებულია სამეწარმეო განათლების კონკრეტული სტრატეგია და მისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი - 33.5 მილიონი შვედური კრონი (3 მილიონზე მეტი ევრო) განაწილებულია საფეხურების მიხედვით (ISCED 1-3, IVET, ISCED 5-8).

როგორც უკვე აღინიშნა, სამეწარმეო განათლება ევროპის ფონდებიდანაც ფინანსდება, როგორც პირდაპირი (პირდაპირ ევროპის პროგრამების მიერ მართული, მაგალითად Erasmus+), ასევე არაპირდაპირი ფორმით. არაპირდაპირი დაფინანსების ძირითად წყაროს ევროპის სოციალური ფონდი (ESF) წარმოადგენს. ევროპის სოციალური ფონდი EU-ს მთავარი ინსტრუმენტია დასაქმების მხარდასაჭერად, ეხმარება რა ევროპის მოქალაქეებს, მიიღონ უკეთესი სამსახური და სამართლიანი პირობები.

2007-2013 წლებში ევროპის ქვეყნების 2/3-მა გამოიყენა ევროპის დაფინანსება (მათ შორის, ბელგია, ჩეხეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი, სლოვენია ფინეთი, შვედეთი). მაგალითად, ბელგიამ სამეწარმეო განათლების მხარდასაჭერად ESF-ისგან 292 423 ევრო მიიღო.

„სამეწარმეო სწავლების სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი“ (SEECEL) ამ რეგიონის 8 ქვეყანაში აფინანსებს სამეწარმეო განათლებას (ხორვატია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, მონტენეგრო, მაკედონია, სერბეთი, თურქეთი და სხვ.)

რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის, დანიამ და პოლონეთმა, სამეწარმეო განათლების განვითარებისთვის დაფინანსება მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პროგრამის ფარგლებში მიიღო. 2014-2020 პერიოდის განმავლობაშიც სამეწარმეო განათლებაში ფინანსური კონტრიბუცია დიდწილად მიბმულია ESF-თან.

თავი 3: სასკოლო კურიკულუმი

ეს თავი სასკოლო კურიკულუმში ჩაშენებული სამეწარმეო განათლების სამ ასპექტს აანალიზებს. პირველ რიგში, იკვლევს ცენტრალური დონის დოკუმენტებს იმის დასადგენად, თუ რამდენად არის სამეწარმეო განათლება აღიარებული სასკოლო პროგრამაში. ასევე, აანალიზებს, როგორია სამეწარმეო სწავლებისადმი მიდგომა - კროსპროგრამულად (crosscurricular) ისწავლება, ცალკე საგნად არის გამოტანილი თუ ინტეგრირებულია სხვა საგნებში, გარდა ამისა, სავალდებულოდ არის შეთავაზებული თუ არჩევითად. შემდგომ, იკვლევს მეწარმეობის სწავლების მეთოდებს, კონკრეტულად, პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილების სახეებს დაბოლოს, აღ-

წერს სამეწარმეო განათლების კონკრეტულ სწავლის შედეგებს სამი მიმართულებით - დამოკიდებულებები, უნარები და ცოდნა.

3.1 მეწარმეობის სწავლებისადმი მიდგომები სასკოლო პროგრამაში

საკითხი, არის თუ არა ექსპლიციტურად აღიარებული სამეწარმეო განათლება ცენტრალურ დონეზე, გამოიხატება ოფიციალური დოკუმენტებით, რომლითაც სკოლა იმართება - სასკოლო პროგრამა, სახელმძღვანელოები, ვალდებულებები თუ რეკომენდაციები. ამის გასაანალიზებლად, სამი ფართო მიდგომა იქნა იდენტიფიცირებული:

- კროსპროგრამული მიდგომა - სადაც სამეწარმეო განათლების მიზნები გამოხატულია ტრანსფერული კომპეტენციის სახით და ჰორიზონტალურად არის მოაზრებული სხვადასხვა საგანში
- სამეწარმეო განათლება ისწავლება ცალკე სავალდებულო საგნად ან სავალდებულო საგნის (საგნების) ნაწილად
- მეწარმეობა ისწავლება ცალკე არჩევით ან არჩევითი საგნის (საგნების) ნაწილად

დაწყებით საფეხურზე ქვეყნების ნახევარი იყენებს კროსპროგრამულ მიდგომას სამეწარმეო განათლების მიმართ და იგი არაა მიბმული არცერთ საგანთან. 14 სისტემაში მეწარმეობა სავალდებულო საგნებშია ინტეგრირებული. არჩევითი სტატუსით წარმოდგენილი საგანი იშვიათობას წარმოადგენს და სულ ხუთ ქვეყანაში გვხვდება. ოთხ ქვეყანაში კროსპროგრამული მიდგომა სავალდებულო საგნებთანაა კომბინირებული (ესპანეთი, სლოვენია, ფინეთი და ნორვეგია) ხოლო ოთხში - სამივე მიდგომა (კროსპროგრამული, სავალდებულო, არჩევითი) გამოიყენება. ესენია: ჩეხეთი, ლატვია, მალტა და რუმინეთი.

ესტონეთში, სადაც სამეწარმეო განათლების სტრატეგია ეროვნულ დონეზე არსებობს, დაწყებით საფეხურზე მეწარმეობა ზოგადი კომპეტენციების ნაწილადაა მიჩნეული და სწავლების სრული პროცესის განმავლობაში გამჭოლი აქტივობების მეშვეობით ვითარდება. ესპანეთში „Act on Education" (LOMCE) მიიჩნევს, რომ მეწარმეობის, მოქალაქეობისა და კონსტიტუციური განათლების (constitutional education) საკითხები ყველა საგანში უნდა იყოს ჩადებული.

საბაზო საფეხურზე 21 ქვეყანა მიუთითებს, რომ კროსპროგრამულ მიდგომას იყენებს. მთავარი განსხვავება დაწყებით საფეხურთან მიმართებით ისაა, რომ ამ დონეზე მეწარმეობა პროგრამაში უფრო ხშირად გვხვდება, როგორც არჩევითი ელემენტი. მეორე განსხვავება გამოიხატება იმ გარემოებაში, რომ საბაზო საფეხურზე მეტი ქვეყანა ახდენს მიდგომების კომბინირებას: რვა ქვეყანა იყენებს სამივე მიდგომას (მათ შორის, ფინეთი, ესტონეთი, ესპანეთი), ბულგარეთი და ნორვეგია სავალდებულო და არჩევითი საგნების კომბინაციას ახდენს, ოთხ ქვეყანაში კი ვხვდებით კროსპროგრამული მიდგომისა და არჩევითი საგნების გაერთიანებას (ბელგიის ფრანგული თემი, დანია, საფრანგეთი და მონტენეგრო) - სამივე.

ხორვატიაში არსებობს ეროვნული პროგრამული ჩარჩო (national framework curriculum) რომლის მიხედვითაც, სამეწარმეო განათლება სასკოლო პროგრამაში კროსპროგრამულ საკითხად უნდა იყოს ინტეგრირებული.

ნიდერლანდების სკოლები თავისუფალნი არიან, თავად გადაწყვიტონ, ჩართონ თუ არა მეწარმეობა პროგრამაში და იმაშიც, თუ როგორ დააორგანიზონ იგი. ბევრი სკოლა მოიცავს კიდეც სამეწარმეო განათლების საკითხებს, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე რაიმე სტრატეგია არ არსებობს.

დაწყებით დონეზე უფრო კროსპროგრამული მიდგომა გამოიყენება, თუმცა, ორივე საფეხურზე სამეწარმეო განათლება, როგორც წესი, ინტეგრირებულია სოციალური

მეცნიერებების, ეკონომიკისა და ბიზნესის საგნებში.

რაც შეეხება **საშუალო** საფეხურსა და სკოლის ბაზაზე განხორციელებად პროფესიულ განათლებას, ამ საფეხურებზე მეწარმეობა კროსპროგრამულად ისწავლება 20 ქვეყანაში. 10 ქვეყანა კი სამივე მიდგომის კომბინაციას ახდენს.

სამეწარმეო განათლების სწავლება-სწავლის მეთოდების შესახებ გაიდლაინი

იმისათვის, რომ სამეწარმეო სწავლება ეფექტიანად განხორციელდეს, საგნის შინაარსთან ერთად, საჭიროა სწავლებისა და სწავლის ადეკვატური მეთოდების გამოყენება. ჰოფმანისა და კოლეგების მიხედვით (Hoffman et al. 2012), მეწარმეობის სწავლებისთვის ტრადიციული მეთოდები არ გამოდგება. სწავლების პროცესში - პრაქტიკული განზომილება, სტუდენტების მონაწილეობა, ინტერდისციპლინური და საერთაშორისო ელემენტები - ყველა მათგანი მნიშვნელოვანია. კოდურას მარტინეზისა და კოლეგების მიხედვით (Coduras Martinez et al. 2008), სწავლების ახალი მეთოდები და კროსდისციპლინური კონტენტი მასწავლებლებისთვის და ინსტიტუტებისთვის გამოწვევას წარმოადგენს. სორგმანი და პარკისონი აღნიშნავენ (Sorgman & Parkison, 2008), რომ ბევრი მასწავლებელი ახალი გამოწვევებისათვის მზად არ არის.

ცენტრალური სახელმძღვანელოების ანალიზი სწავლებისა და სწავლის მეთოდების ოთხ ტიპს ეფუძნება, რომელიც ჩვეულებრივ, თუმცა არა ექსკლუზიურად, სამეწარმეო განათლებასთანაა ასოცირებული, ესენია;

- აქტიური სწავლება
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება
- გამოცდილებითი (Experiential) სწავლება
- კლასგარეშე აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს საზოგადოებასთან ან ბიზნესთან აკავშირებს

იმისდა მიუხედავად, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სამეწარმეო სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით მითითებები ცენტრალური დონის სახელმძღვანელოებსა და რეკომენდაციებში არ არის ასახული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი მეთოდები არც გამოიყენება - სკოლებსა და მასწავლებლებს აქვთ თავისუფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიონ სწავლების მეთოდები. თუმცა სადაც ასეთი სახელმძღვანელოები არსებობს, ეს იმის მანიშნებელია, რომ მეწარმეობა კარგადაა გააზრებული და ინტეგრირებულია კურიკულუმში (მაგ: დანია, ესპანეთი, ესტონეთი, საფრანგეთი, ლატვია, პოლონეთი და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ამგვარი ინსტრუქციები, უფრო ხშირად, საშუალო საფეხურისა და სკოლის ბაზაზე განხორციელებული პროფესიული განათლების ფარგლებში გვხვდება, რაც იმაზე მოწმობს, რომ სამეწარმეო განათლება უფრო მაღალ საფეხურზეა გავრცელებული, ვიდრე დაწყებით ან საბაზო საფეხურებზე.

აქტიური სწავლება და **კლასგარეშე აქტივობები** ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდებია სახელმძღვანელოებში. მთელი სასწავლო პროცესი სწავლების აქტიურ მეთოდებზე უნდა იყოს დაფუძნებული. ზოგან, კლასგარეშე აქტივობები ბიზნესორგანიზაციებში ვიზიტებსაც კი მოიცავს (მაგ: ლატვია, ავსტრია და სერბეთი).

ესპანეთში ზემოთჩამოთვლილ მეთოდებთან ერთად, ასევე გამოიყენება „კოოპერატიული სწავლება“. ერთობლივი მუშაობით ჯგუფის წევრებმა უნდა მოაერხონ პრობლემების გადაჭრა, გაიაზრონ ის სტრატეგიები, რაც სხვა, მსგავს მაგალითებში, იქნა გამოყენებული და მოარგონ საკუთარ სიტუაციას.

საბერძნეთში ინტენსიურად გამოიყენება „შემთხვევის განხილვა“, რათა მოსწავლეებმა უკეთ გააცნობიერონ უმუშევრობის, ინფლაციის არსი, მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვი და ა.შ. მეწარმეობა კონკრეტულად საგნის - „პროექტი“ ფარგლებში

ისწავლება, სადაც მოსწავლეები ითვისებენ, როგორ გარდაქმნან იდეა რეალობად.

მონტენეგროში სწავლების აქტიური მეთოდები ყველა საფეხურისა და ყველა საგნის განხორციელების საწყის წერტილად ითვლება, გამოცდილებით სწავლებასა და კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ისევე, როგორც პრაქტიკულ მუშაობას.

ზოგ ქვეყანაში ცენტრალურ დონეზე მიღებული რეკომენდაციები სწავლება-სწავლის მეთოდების შესახებ არ გვხვდება. ხშირ შემთხვევაში, ამის მიზეზი სკოლებისა და მასწავლებლებისათვის მინიჭებული ავტონომიაა.

3.2 პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილებები

2012 წელს ევროკომისიამ დოკუმენტით *Rethinking education: Investing in skills for better socio-economic outcomes* წევრ ქვეყნებს მოუწოდა, სავალდებულო განათლების პერიოდის განმავლობაში მოსწავლეები უზრუნველეყოთ მინიმუმ ერთი პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილებით.

პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილება გაგებულია, როგორც საგანმანათლებლო გამოცდილება, როდესაც მოსწავლეს აქვს საშუალება, მოიფიქროს იდეები, შეძლოს მათგან კარგის იდენტიფიცირება და მოიყვანოს მოქმედებაში. ეს უნდა იყოს სტუდენტისგან წამოსული ინიციატივა, ინდივიდუალურად ან ჯგუფის ფარგლებში მოფიქრებული, უნდა მოიცავდეს კეთებით სწავლას და ქმნიდეს ხელშესახებ შედეგს. ასეთი გამოცდილების მიზანია, მოსწავლეებმა განივითარონ უნარები, თავდაჯერება, შეძლონ შესაძლებლობების შეფასება, გადაჭრის გზების იდენტიფიცირება და საკუთარი იდეების პრაქტიკაში განხორციელება.

პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილება სკოლის პროგრამაში

ქვეყნებს ჰკითხეს, ჩამოთვლილი გამოცდილებებიდან რომელი ჰქონდათ ჩართული სასკოლო პროგრამაში, რომელ საფეხურზე და რა სტატუსით - სავალდებულოდ თუ არჩევითად.

- პროექტზე დაფუძნებული სამუშაოს შესრულება (doing project-based work) - სადაც მკაფიოდაა წარმოჩენილი იდეების გენერირების პროცესი და სრულდება კონკრეტული პროდუქტის შექმნით
- პრაქტიკული გამოწვევის მიცემა (being given a practical challenge) - ბიზნესის ან სათემო (community) ორგანიზაციის მიერ წამოწყებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სამსახურში არსებული რაიმე პრობლემაზე მუშაობას
- საზოგადოებრივ გამოწვევაში მონაწილეობა (taking part in community challenge) - ინოვაციური იდეების გამოყენება ლოკალური ან თემის პრობლემების გადასაჭრელად
- მინისაწარმოს შექმნა - ბიზნესის ან სოციალური საწარმოს შესახებ იდეის განვითარება, მისი დაარსება და გარკვეული პერიოდის განმავლობაში მართვა
- სტუდენტური ინიციატივების მიკროდაფინანსება - კონკრეტული იდეები და crowd-funded პროექტები, რომელსაც აქვს მოგება ან/და სოციალური იმპაქტი

აღსანიშნავია, რომ **პროექტზე დაფუძნებული სამუშაოს შესრულება** არ არის იგივე, რაც პროექტზე დაფუძნებული სამუშაო, რომელიც ევროპულ სივრცეში ისედაც ფართოდ გამოიყენება. ზოგადად, პროექტზე დაფუძნებული სწავლაც უწყობს ხელს სამეწარმეო უნარების განვითარებას, მაგრამ ის არ მოითხოვს პრაქტიკულ გამოცდილებას, როგორც ამ შემთხვევაში. პროექტზე დაფუძნებული სამუშაოს შესრულება სტუდენტს პროცესის შუაში აყენებს და უბიძგებს, მოიფიქროს იდეები კონკრეტული საბოლოო პროდუქტისთვის.

პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილება პროექტზე დაფუძნებული სამუშაოს ფორ-

მით ათზე მეტი ქვეყნის კურიკულუმში გვხვდება. ბულგარეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა და მონტენეგრო მას ყველა დონეზე უზრუნველყოფს, ესტონეთი, ავსტრია, პოლონეთი და ფინეთი - სამ დონეზე, ესპანეთი, ლატვია, რუმინეთი და შვედეთი ორ საფეხურზე, საფრანგეთი, ლიტვა და ნორვეგია მხოლოდ საბაზო საფეხურზე, დანია კი მხოლოდ სკოლის ბაზაზე ინტეგრირებულ პროფესიული განათლების ფარგლებში. შესაბამისად, პროექტზე დაფუძნებული მუშაობა სამეწარმეო განათლების ყველაზე გავრცელებული მაგალითია.

ფინეთში საინტერესო მაგალითია პროექტი - "My and Mycity" რომელიც საზოგადოებრივ საკითხებს, სამუშაოსა და მეწარმეობას მიემართება, იღებს მინიატურული ქალაქის ფორმას, სადაც 12-13 წლის მოსწავლეები ირგებენ პროფესიას და მოქმედებენ, როგორც მომხმარებლები და მოქალაქეები. პროექტი ასევე მოიცავს მასწავლებლების ტრენინგს, 10 კვირის სასწავლო მასალასა და ადგილზე ვიზიტს, სადაც საგანმანათლებლო სივრცეა მოწყობილი. თითოეული პროგრამა რეგიონულ მუნიციპალიტეტებთან და ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობითაა შედგენილი. მართალია, სავალდებულო არაა, მაგრამ პრაქტიკულად ყველა მეექვსეკლასელი მონაწილეობს აღნიშნულ პროექტში.

მეორე ფართოდ გავრცელებული მეთოდია **მინისაწარმოს შექმნა**. ეს მეთოდი მაღალკლასელებისთვის უფრო რელევანტურია, თუმცა არსებობს გამონაკლისი ესპანეთის სახით, სადაც დაწყებით კლასებშიც შესაძლოა, შეგვხვდეს. მოსწავლეების მონაწილეობა ხშირად მხარდაჭერილია სპეციალიზირებული ორგანიზაციების მხრიდან.

შვედეთში მინისაწარმოს შექმნის პრაქტიკა, როგორც პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილების ნაწილი, საკმაოდ გავრცელებულია. მაგალითად, 2014-2015 წლებში 24 415 შვედი მოსწავლე მონაწილეობდა ასეთ პროგრამაში („Company programme"). ფინეთში 2013-2014 წლებში 1300 სტუდენტური კომპანია დაარსდა და პროგრამებში 4100 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ესტონეთში 2014-2015 წლებში საბაზო საფეხურზე 42 მინისაწარმო დაარსდა, საშუალოზე კი - 200 სტუდენტური კომპანია.

პრაქტიკული და საზოგადოებრივი გამოწვევები ნაკლებად გავრცელებული პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილებებია. ძალიან ცოტა ქვეყანაში გვხვდება პრაქტიკული გამოწვევები დაწყებით ან საბაზო საფეხურზე და სულ შვიდიოდე ქვეყანა იყენებს საზოგადოებრივი გამოწვევების მეთოდს ამავე საფეხურებზე. უფრო მაღალ საფეხურზეც არაა დიდად განსხვავებული მდგომარეობა, პრაქტიკული და საზოგადოებრივი გამოწვევები სულ 12 სახელმწიფოში გამოიყენება საშუალო საფეხურსა და სკოლის ბაზაზე განხორციელებულ პროფესიულ სწავლებაში. **კიდევ უფრო იშვიათია სტუდენტური ინიციატივების მიკროდაფინანსება**. მხოლოდ ერთი მაგალითი გვხვდება ავსტრიის სახით, სადაც იგი საშუალო საფეხურის კურიკულუმშია წარმოადგენილი პროექტების კონკურსის - „Innovative Youth" ნაწილის სახით.

3.3 სამეწარმეო განათლების სწავლის შედეგები

მნიშვნელოვანია, რომ სამეწარმეო განათლებას მკაფიოდ გამოხატული სწავლის შედეგები ჰქონდეს. პირველ რიგში, ეს გვაძლევს ნათელ სურათს სწავლებისა და სწავლის სფეროს შესახებ. მეორე, მოსწავლეებს ეხმარება იმის გაგებაში, თუ რას ელიან მათგან. ასევე, ეს ეხმარება მასწავლებლებს სწავლების სტრუქტურირებასა და ორგანიზებაში და გზას უხსნის ფორმალურ შეფასებას. თუმცა სამეწარმეო განათლება ფართო და კომპლექსური საკითხია - როგორც საკვანძო კომპეტენცია, ის სწავლის შედეგების მთელ რიგს უკავშირდება. უკვე აღინიშნა, რომ ქვეყნებს ეროვნულ დონეზე სამეწარმეო განათლების განსხვავებული განმარტებები და გაგება აქვთ და შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ სწავლის შედეგები ამ განსხვავებებს ასახავს.

წინა გამოკითხვებმა, მათ შორის ევრიდიკეს 2012 წლის ანგარიშმა და სამეწარმეო

განათლების თემატური ჯგუფის მუშაობის შედეგებმა აჩვენა, რომ სამეწარმეო განათლებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების ჩამოყალიბება ევროპის ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა. მართალია, ზოგიერთ სისტემაში გარკვეული ელემენტები მოიძებნება, თუმცა თანმიმდევრული და მრავალმხრივი მიდგომა გასავითარებელია.

არსებულ ინსტრუმენტებზე დაყრნობით, ევროპის ქვეყნებს სთხოვეს, სწავლის შედეგები შემდეგი სამი კატეგორიის მიხედვით დაეიდენტიფიცირებინათ:

- სამეწარმეო დამოკიდებულებები (თავდაჯერებულობა და ინიციატივის შეგრძნება)
- სამეწარმეო უნარები (შემოქმედებითობა, დაგეგმვა, ფინანსური წიგნიერება, რესურსების მართვა, რისკის/გაურკვევლობის მართვა, ჯგუფური მუშაობა)
- სამეწარმეო ცოდნა (როგორ შეაფასო შესაძლებლობები, მეწარმის როლი საზოგადოებისთვის და სამეწარმეო კარიერის შესაძლებლობები).

სამეწარმეო დამოკიდებულებები თავდაჯერებულობა

თავდაჯერებულობასთან დაკავშირებული სწავლის შედეგი საკმაოდ გავრცელებულია ევროპის ქვეყნების სასკოლო პროგრამაში. როგორც სოციალიზაციის ელემენტი, თვითრწმენის გაძლიერება ზოგადი საგანმანათლებლო მიზანიცაა და არამხოლოდ მეწარმეობის კონტექსტში გამოიყენება. შეიძლება ის გამოხატული იყოს სხვადასხვა სახით - თვითშემეცნება, თვითშეგნება, თვითშეფასება, თვითაღიარება, ასერტიულობა და სხვა, თუმცა იმისათვის, რომ კონკრეტულად მეწარმეობისთვის რელევანტურად განვიხილოთ, საჭიროა გამოიხატებოდეს და მოიაზრებოდეს ამოცანებთან ან ქმედებებთან კავშირში.

მაგალითისთვის, ბელგიის გერმანულენოვან თემში დაწყებითი განათლების სწავლის შედეგებში ის ფორმულირებულია, როგორც „საკუთარი ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და აღწერა“, რაც უფრო თვითგაცნობიერებასთანაა დაკავშირებული, ვიდრე თავდაჯერებულობასთან, ესპანეთში კი უფრო კონკრეტულადაა გამოხატული - „მოსწავლე ავლენს თავდაჯერებულობას (..), რაც მას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს გარემო პირობებიდან გამომდინარე“.

სამეწარმეო დამოკიდებულებები ინიციატივის გამოჩენა (sense)

ინიციატივის გამოჩენა არის ძირითადი კომპეტენცია, რაც პირველ რიგში არის დაკავშირებული სამეწარმეო განათლებასთან. სწავლის შედეგების ჭრილიდან რომ შევხედოთ, ის ხშირად მჭიდროდ ებმის პრობლემის გადაჭრისა და პასუხისმგებლობის აღების უნარს. ან შესაძლოა, ფორმულირებული იყოს მარტივად - “იყოს ქმედითი“ (Enterprising) ან “პროაქტიული”. საფრანგეთში, დაწყებით საფეხურზე ეს ნიშნავს, რომ თითოეულ მოსწავლეს უნდა შეეძლოს „პრობლემის იდენტიფიცირება და მისი გადაჭრისთვის ნაბიჯების მოფიქრება“. ჩეხეთში საშუალო საფეხურზე მოსწავლეს უნდა შეეძლოს „გამოიყენოს პროაქტიული მიდგომა, საკუთარი ინიციატივა და კრეატიულობა და ღია იყოს ინოვაციებისადმი“.

სამეწარმეო უნარები კრეატიულობა

კრეატიულობა, რაც აღქმულია, როგორც უნარი, იფიქრო ახალი და წარმოსახვითი გზებით, ნებისმიერი სამეწარმეო აქტივობისთვის ძირითად ინგრედიენტსა და იდეების გენერირებისა და ინოვაციური პროცესების ძრავს წარმოადგენს. ასევე, შეიძლება გავიგოთ, როგორც პრობლემის გადაჭრის კრეატიული მიდგომა. თუმცა სტანდარტული გაგებისგან განსხვავებით, არ მოიაზრებს კრეატიულობას, როგორც

პიროვნულ თვისებასა ან ნიჭს, არამედ ისეთი რამედ მიიჩნევს, რისი სწავლა და განვითარებაც შესაძლებელია. სამეწარმეო უნარებთან მიმართებით, სასწავლო პროგრამებში კრეატიულობა აღქმულია, უფრო როგორც სასარგებლო იდეების განვითარების უნარი.

თუმცა რთულია კრეატიულობასთან დაკავშირებული სწავლის შედეგის ნათლად ჩამოაყალიბება. ზოგჯერ ეს სასკოლო განათლების ზოგად მიზანს წარმოადგენს ხოლმე და მთელი პროგრამის ფარგლებშია მხარდაჭერილი, როგორც ეს ხდება ლატვიაში, ლიტვასა და რუმინეთში, ზოგან კი უფრო კონკრეტულადაა ფორმულირებული, მაგალითად სლოვენიაში, სადაც დაწყებითი საფეხურისთვის მოსწავლეები „სწავლობენ დაგეგმონ, გააკეთონ მონახაზი, შექმნან და დატესტონ პროდუქტი და წარმოადგინონ რეკომენდაციები მისი განვითარებისთვის“.

სამეწარმეო უნარები დაგეგმვა

დაგეგმვისა და ამოცანების სტრუქტრურირების უნარი შეიძლება დავინახოთ, როგორც იდეების გენერირებისა და ინოვაციური პროცესის მიმდინარეობის მასულმდგმულებელი. ის იძლევა შესაძლებლობას, იდეა ქმედებად იქცეს, იღებს რა მხედველობაში რეალურ გარემოებებსა და რესურსებს.

ესტონეთში საბაზო საფეხურის მოსწავლეს უნდა „შეეძლოს დაგეგმოს და შეაფასოს საკუთარი აქტივობები, დასახული შედეგის მისაღწევად, შეარჩიოს და განახორციელოს საჭირო მოქმედებები“. სლოვაკეთში უფრო ფართო გაგებაა, საშუალო საფეხურის მოსწავლეს უნდა „შეეძლოს, დაგეგმოს და მართოს ახალი პროექტები, რათა მიაღწიოს მიზნებს, არამხოლოდ სამსახურებრივ საქმიანობაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც“.

სამეწარმეო უნარები ფინანსური წიგნიერება

წარმოდგენილი, როგორც ფინანსური ანგარიშგებისა და ბიუჯეტირების გაგების შესაძლებლობა, ფინანსური წიგნიერება უკავშირდება უნარებს, რომლებიც საჭიროა პერსონალური ფინანსებით ოპერირებისთვის და ამასთანავე, ქმნის ბიზნესოპერაციების მართვის საფუძველს. სამეწარმეო განათლების სხვა ასპექტებთან შედარებით, ამ კომპეტენციის დაკვირვებად და გაზომვად სწავლის შედეგებად გადათარგმნა უფრო მარტივია. ეს გარკვეულწილად საფრთხეს უქმნის სამეწარმეო განათლების, როგორც საკვანძო კომპეტენციის ეფექტიან იმპლემენტაციას, რადგან შესაძლოა, კურიკულუმის შემქმნელებს ჰქონდეთ ცდუნება, ფოკუსირდნენ იმ ელემენტებზე, რომლის სწავლება და შეფასება უფრო მარტივია და, ამგვარად, ზიანი მიაყენონ სხვა არსებით უნარებს. სამეწარმეო განათლების თემატური სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული 2013 წლის გამოკითხვის შედეგებით, მონაწილე ქვეყნებში ფინანსური წიგნიერება ყველაზე ფართოდ გავრცელებული ასპექტია. თუმცა ფინანსური წიგნიერების სწავლების ფოკუსი შეიძლება იყოს უფრო თეორიული (ფინანსურ ცოდნაზე ორიენტირებული) ან მეტად პრაქტიკული (ფინანსურ უნარებზე ფოკუსირებული). ამ უკანასკნელის მაგალითია ნორვეგია, სადაც საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს „უნდა შეეძლოთ ფინანსური ხარჯების გამოთვლა (financing costs), და რეკომენდაციების მომზადება სხვადასხვა პროექტების დაფინანსებისთვის.

სამეწარმეო უნარები რესურსების მართვა

რესურსების მართვა კონკრეტული მიზნისთვის რესურსების შერჩევისა და დაორგანიზების უნარს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კონკრეტულად გამოიყურება, ევროპულ კურიკულუმში ნაკლებადაა შესამჩნევი, როგორც ექსპლიციტური სწავლის შედეგი. იგი იშვიათადაა განხილული ბიზნესიდეის კონტექსტში -

როგორც წესი, რესურსების მართვა კურიკულუმში მიემართება (ბუნებრივი) რესურსების პასუხისმგებლობით გამოყენებასა და გარემოს მდგრადობის შენარჩუნებას, რაც არ უტოლდება სამეწარმეო განათლებას. თუმცა ამ მიმართულებითაც გვხვდება მაგალითები: რუმინეთში საბაზო საფეხურზე ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგი რესურსების მართვის შესახებ, რომელიც მოიცავს „ოჯახური ბიზნესის განხორციელების მიზნით, ოჯახის შემოსავლისა და ხარჯების ძირითადი ელემენტების აღწერას“.

ესტონეთში საშუალო საფეხურის მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ „იმის გაგება, თუ როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს შეზღუდული რესურსების გადანაწილებისა და ნებისმიერი ბიზნესშესაძლებლობის ფინანსური ღირებულების განხილვის შესახებ“.

სამეწარმეო უნარი გაურკვევლობის/რისკის მართვა

იდეის განხორციელების პროცესში გაურკვევლობასთან და რისკებთან გამკლავების უნარი ჩვეულებრივ, ხშირად ასოცირდება მეწარმეებთან და სამეწარმეო განათლების ერთერთი მთავარი ინგრედიენტია. სწავლებისა და სწავლის თვალსაზრისით, ასევე წარმოადგენს რთული საკითხს, რადგან ამ უნარის დაუფლება ან განვითარება თეორიულ საფუძველზე ადვილი არაა. ამ მიზნით, სწორედ გაურკვეველი სიტუაციების შექმნაა საჭირო, რისი უზრუნველყოფაც საგანმანთლებლო პროექტების მეშვეობითაა შესაძლებელი.

ჩეხეთში საშუალო საფეხურის სტუდენტი „განსჯის და კრიტიკულად აფასებს რისკებს, რაც რეალურ ცხოვრებაში სიტუაციების გადაწყვეტილების მიღებას უკავშირდება და მზადაა, გაუმკლავდეს მათ“. პოლონეთში „საკუთარ პროექტზე მუშაობის პროცესში“ სტუდენტები „აგროვებენ ინფორმაციას ბაზრის შესახებ და აანალიზებენ საკუთარი პროექტის საფრთხეებსა და რისკებს“.

სამეწარმეო უნარები გუნდური მუშაობა

ისევე, როგორც თავდაჯერებულობასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები, გუნდური მუშაობაც ფართო მიზანია, რომელიც შესაძლოა კურიკულუმის ნებისმიერ ნაწილში შეგვხვდეს, როგორც არამხოლოდ სწავლის შედეგი, არამედ როგორც სწავლების მეთოდიც. მნიშვნელოვანია, ეს ორი ერთმანეთში არ აგვერიოს. თავის მხრივ, გუნდური მუშაობა არ წარმოადგენს უშუალოდ სამეწარმეო განათლების შემადგენელ ნაწილს, მაგრამ ამ კონტექსტში, ესაა არსებითი კომპეტენცია, რომელიც ვითარდება სხვა უნარებთან თანადროულად. ის ასევე მოიცავს სხვა ისეთ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, მოლაპარაკებები და გადაწყვეტილების მიღება. მონტენეგროში დაწებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეს „უნდა ჰქონდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურად მუშაობის უნარი“ და მოახდინოს „სხვებთან ერთად გადაწყვეტილების მიღების უნარის დემონსტრირება“. საშუალო საფეხურზე „უნდა იყოს ჯგუფის აქტიური წევრი, მოახდინოს ჯგუფში კომუნიკაციის უნარის დემონსტრირება, შეძლოს იდეების განხილვა და მოლაპარაკებები სხვებთან“.

სამეწარმეო ცოდნა როგორ შევაფასოთ შესაძლებლობები

ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემებში სამეწარმეო უნარებთან და დამოკიდებულებებთან შედარებით, სამეწარმეო ცოდნის სწავლებისა და შეფასების უფრო დიდი ხნის გამოცდილება არსებობს. უფრო ხშირად, მას ეკონომიკის ან სხვა სამეწარმეო საგნების ფარგლებში განიხილავენ. შესაბამისად, სამეწარმეო ცოდნის სწავლის შედეგებში და სწავლებაში ინტეგრირება უფრო მარტივი ჩანს, ვიდრე უნარებისა და დამოკიდებულებების. ევროპული პროექტის - ASTEE ფარგლებში,

ერთერთ მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენს შესაძლებლობების იდენტიფიცირება და შეფასება, ასევე, იმის ცოდნა, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა.

ავსტრიის კარიერული ხელმძღვანელობის კურიკულუმში წერია, რომ სტუდენტებს უნდა შეეძლოთ „შესაძლებლობების იდენტიფიცირება და გამოყენება“. ფინეთში სტუდენტები „მოიძიებენ რესურსებსა ან დაფინანსების წყაროებს თავიანთი ბიზნესიდეისათვის და ახორციელებენ ხარჯთაღრიცხვის ანალიზს”.

სამეწარმეო ცოდნა მეწარმეების როლი საზოგადოებაში

კიდევ ერთი არეალი, რაც AESTEE პროექტის ფარგლებში გამოვლინდა არის ცოდნა იმის შესახებ, თუ რა როლსა და ფუნქციას ასრულებენ მეწარმეები საზოგადოებისთვის. იგი მოიცავს ბიზნესეთიკის გაგებასაც. ეს არ არის იგივე, რაც ცოდნა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს საწარმო, ან რა უფლებები და ვალდებულებები აქვს მეწარმეს.

ძალიან ცოტა მაგალითი მოიპოვება მასთან დაკავშირებული ექსპლიციტური სწავლის შედეგებისა, თუმცა სადაც არსებობს, როგორც „შესაძლებლობების შეფასება“, ხშირ შემთხვევაში, ეკონომიკის ან მეწარმეობის სხვა სპეციფიკურ საგნებს უკავშირდება.

მაგალითად, პოლონეთის ზოგადი განათლების საბაზო საფეხურზე მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ, თუ „როგორ ეხმარება მეწარმეობა ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას“, სლოვენიაში სტუდენტები „აცნობიერებენ საწარმოების მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში“. ესტონეთში საშუალო საფეხურის მოსწავლეებს „ესმით ინდივიდების, კომპანიებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გლობალური პრობლემების გადაჭრის კონტექსტში“. თურქეთში სტუდენტები „განმარტავენ მეწარმეების სოციალურ პასუხისმგებლობებს“.

სამეწარმეო ცოდნა სამეწარმეო კარიერის შესაძლებლობები

დაბოლოს, ცოდნის კიდევ ერთი სფერო მოიცავს სამეწარმეო კარიერის შესაძლებლობებს. სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ეს გულისხმობს იმის გააზრებას, რომ ადამიანები ბიზნესს სხვადასხვა მიზეზების გამო იწყებენ - ფულის გამომუშავება, სხვების დახმარება, ან სხვა. ეს არის პირველი ნაბიჯი, რათა მოსწავლეებმა თავიანთთვის მოახდინონ კარიერული შესაძლებლობების იდენტიფიცირება ბიზნესში თუ სოციალურ მეწარმეობაში. ხშირად, აღნიშნული კომპეტენცია შრომის ბაზრისათვის მომზადების ჭრილში განიხილება, თუმცა ეს არაა საკმარისად სპეციფიკური ამ ანგარიშის მიზნებისთვის. შესაბამისად, ევროპულ სასკოლო კურიკულუმში სამეწარმეო კარიერის შესაძლებლობებთან დაკავშირებული სწავლის შედეგები იშვიათადაა ასახული.

პოლონეთში საშუალო საფეხურის მოსწავლეები „ამზადებენ ბიზნესგეგმის მონახაზს“, მონტენეგროში უნდა შეეძლოთ „მეწარმეობის სხვადასხვა ფორმის იდენტიფიცირება, პრიორიტეტების განსაზღვრა პერსონალურ და სოციალურ დონეზე, და სოციალური მეწარმეობის როლის მნიშვნელობის ახსნა მდგრადი საზოგადოების შექმნაში“.

სწავლის შედეგების თანმიმდევრობა და პროგრესია

სამეწარმეო განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის საკვანძო კომპეტენციადაა მიჩნეული. შესაბამისად, სწავლის შედეგები დალაგებული უნდა იყოს ჰორიზონტალურად, მთელი პროგრამის ფარგლებში და ვერტიკალურად, რათა გამოჩნდეს საფეხურებს შორის პროგრესია.

ზოგადად, სასკოლო კურიკულუმები მოიცავს სამეწარმეო განათლების ელემენტებს, მაგრამ ძალიან ცოტა აჩვენებს სტრუქტურირებულ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის შესაბამის მიდგომებს.

მაგალითად, როდესაც ის მოაზრებულია გამჭოლ თემად, იმ საგნებს შორის კავშირი, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო გამოცდილების მისაცემად სწავლის შედეგებს ერთმანეთთან აკავშირებს, ძალიან მცირეა. მათი არსებობა კი დიდწილად დამოკიდებულია ამ საგნების განმახორციელებელი მასწავლებლების ერთმანეთთან თანამშრომლობის სურვილზე. შესაძლოა, სამეწარმეო განათლების სწავლის შედეგების მიღწევაში კონტრიბუციას რამდენიმე საგანი ახდენდეს, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ამ უნარების თანადროული განვითარება და სასწავლო წლის განმავლობაში კოორდინირების საკითხები არ არის ნათელი.

განათლების თანმიმდევრული საფეხურების პროგრესია, ხშირად, სკოლის კურიკულუმის (ასაკის შესაბამისი) ლოგიკითაა ბუნებრივად გამოწვეული, რამდენადაც საგნები საბაზისო დონიდან იწყება და ვითარდება კომპლექსურობისკენ. ბულგარეთში და ავსტრიაში ამას „სპირალურ მიდგომას“ უწოდებენ. შესაბამისად, როდესაც სამეწარმეო უნარებთან დაკავშირებული სწავლის შედეგები უწყვეტადაა ინტეგრირებული საგნებში, პროგრესია ბუნებრივად ვითარდება (მაგ. ესტონეთი). ზოგ ქვეყანაში კი, განსაკუთრებით, როცა მეწარმეობა ისწავლება კონკრეტული საგნის ფარგლებში, პროგრესია „საგნობრივ ლოგიკას“ მიჰყვება, სადაც საგანი სხვადასხვა საფეხურის განმავლობაში ვითარდება (მაგ. პოლონეთი).

სამეწარმეო განათლებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების შეფასება

დაბოლოს, ქვეყნებს ჰკითხეს, თუ ახდენდნენ მეწარმეობასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების შეფასებას და როგორ. ფაქტობრივად, ტრანსფერული უნარების შეფასება ევროპის ქვეყნებში ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა. სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მათ შესაფასებლად პირველი ეტაპია. თუმცა, თუ ეს საკვანძო კომპეტენცია, მიჩნეულია როგორც მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო გამოცდილება ყველა მოსწავლისათვის, მისი შეფასებაც აუცილებელია. მეტიც, რადგანაც მეწარმეობა ფართო და მრავალმხრივი საკვანძო კომპეტენციაა, ის მოითხოვს არამხოლოდ ინოვაციურ სწვლებას, არამედ შეფასების ინოვაციურ მეთოდებსაც.

აღნიშნული ანგარიში ადასტურებს წინა კვლევის შედეგებსაც, რომელიც აჩვენებს, რომ სამეწარმეო დამოკიდებულებები, უნარები და ცოდნა კონკრეტულად არ არის შეფასებული.

ქვეყნებში, სადაც მეწარმეობა ცალკე საგნის სახით ისწავლება ბუნებრივია, ამ საგნის სწავლის შედეგების ფარგლებში ფასდება, თუმცა როდესაც იგი კროსპროგრამულ თემად გვევლინება, ძნელია უშუალოდ მეწარმეობასთან დაკავშირებული სწავლის შედეგის შეფასების მტკიცებულების მოძებნა. სამეწარმეო სწავლების შეფასებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების/სახელმძღვანელო პრინციპების თვალსაზრისით მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული მაგალითის მოყვანა შეიძლება:

2015 წელს ესპანეთში ცენტრალურ დონეზე გამოცემული რეგულაცია რეკომენდაციას უწევს პორტფოლიოს გამოყენებას: „რადგან ის უზრუნველყოფს ყოვლისმომცველი ინფორმაციის შეგროვებას მოსწავლის სწავლის შესახებ. ეს ხელს უწყობს მუდმივ შეფასებას და იძლევა შესაბამისი სწავლის შედეგების გაზიარების შესაძლებლობას. პორტფოლიო არის სტუდენტების სამოტივაციო ინსტრუმენტი, რადგან აძლიერებს მათი ავტონომიის შეგრძნებასა და ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას“.

საფრანგეთში ცოდნისა და უნარების საერთო ბაზა, რომელიც ავტონომიისა და ინიციატივის შეგრძნებას (sense) მოიცავს შეფასებულია პერსონალური უნარების ბუკლეტის მეშვეობით (Livret Personnel de Compétence). მეტიც, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ შესრულებული ინდივიდუალური სამუშაო, რომელიც სამეწარმეო განათლების სწავლის შედეგებსაც მოიცავს, ერთი წლის განმავლობაში

მიმდინარეობს და მისი დასრულების შემდგომ, მოსწავლეები მას მასწავლებლებისა და კომისიის წინაშე წარადგენენ.

თავი 4: მასწავლებლების განათლება და მხარდაჭერა

სკოლებში სამეწარმეო სწავლების ეფექტიან განხორციელებაში მასწავლებლები საკვანძო როლს ასრულებენ. სამეწარმეო განათლებაში დამოკიდებულებები და ქცევები ალბათ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცოდნა. ამ კომპეტენციების სწავლება ტრადიციული პრაქტიკებით, სადაც მოსწავლე პასიური მიმღებია, ძნელია. იგი უფრო აქტიურ, მოსწავლეზე ორიენტირებულ პედაგოგიკას და ისეთ სასწავლო აქტივობებს მოითხოვს, რომელიც პრაქტიკული სწავლების ელემენტებს რეალური სამყაროდან იყენებს. ამგვარი ცვლილებები მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს თავად მასწავლებლების სწავლების თვალსაზრისით (ევროკომისია, 2011).

4.1 მასწავლებლების მომზადების პროგრამა

სამეწარმეო განათლება, როგორც სავალდებულო საგანი მასწავლებლების მომზადების პროგრამებში

როგორც ევროპის საბჭო უსვამს ხაზს, „მასწავლებლების განათლების ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ მდიდარი კონტექსტი მეწარმეობის შესახებ, მეწარმეობის მეშვეობით და მეწარმეობისთვის. მათ უნდა მოახერხონ მომავალი მასწავლებლების სწავლების აქტიური და მრავალფეროვანი მიდგომებითა და პედაგოგიური ტექნიკებით აღჭურვა, გაუჩინონ ექსპერიმენტირებისა და „სიახლის გამოცდის“ მზაობა და დაეხმარონ მათ, გამოიყენონ სწავლების მრავალმხრივი სპექტრი ინსტიტუციის შიგნით, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მის გარეთაც“.

გამოკითხული ქვეყნების ნახევარში მასწავლებლების მომზადების ინსტიტუტებს აქვთ ავტონომია, გადაწყვიტონ, ჩართონ თუ არა სამეწარმეო განათლება მასწავლებლების მომზადების პროგრამაში და ასევე, თუ როგორ ასწავლონ იგი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების ურავლესობაში ცენტრალურ დონეზე რეგულაციები მასწავლებლების სამეწარმეო განათლების შესახებ არ მოიპოვება, ზოგი ინსტიტუტი მის პროგრამებში ინტეგრირებას ახდენს.

მაგალითად ფინეთში, პროექტმა YVI – The Entrepreneurship Education Service for Teachers Project (2010-2014) მასწავლებლებისთვის სამეწარმეო სასწავლო პროგრამის შექმნის მიზნით 30-მდე ორგანიზაცია გააერთიანა.

გამოკითხულთაგან, მხოლოდ შვიდი საგანმანათლებლო სისტემა მიიჩნევს მასწავლებლების მომზადების პროგრამის ფარგლებში სამეწარმეო განათლებას სავალდებულოდ. სამ ქვეყანაში მოაზრებულია, რომ ყველა მასწავლებელი უნდა დატრენინგდეს მეწარმეობის სწავლებაში - ესტონეთში მიუხედავად სწავლების საფეხურისა, ლატვიაში ეს ეხება დაწყებითი და საშუალო საფეხურის, ხოლო დანიაში დაწყებითი და საბაზო საფეხურის მასწავლებლებს. 4 ქვეყანაში ეს მიბმულია საგანთან: ავსტრიაში მეწარმეობის სწავლებაში ამზადებენ გეოგრაფიისა და ეკონომიკის მომავალ პედაგოგებს, სლოვაკეთში - ტექნიკური/პროფესიული საგნების მასწავლებლებს, თურქეთში კი მხოლოდ მათ, ვინც პროგრამაზე - „Social Sciences Undergraduate Teaching Programme“ სწავლობს.

სამეწარმეო სწავლების მიდგომა

ევროსაბჭოს თემატური სამუშაო კომისიის თანახმად, „მეწარმე-მასწავლებელს“ (entrepreneurial teacher), 5 ძირითადი უნარი ესაჭიროება. ამასთან, „მეწარმე-

მასწავლებელი“ მოიაზრებს მასწავლებელს, რომელიც მწვრთნელივით მოქმედებს და სტუდენტს იდეების მოქმედებებად გარდაქმნაში ეხმარება, რითაც მას უბიძგებს, იყოს საკუთარი ცხოვრების განმსაზღვრელი ძალა. ეს უნარებია:

- პროექტზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება
- სახელმძღვანელოებზე მუშაობის გარდა, შემთხვევების განხილვაზე მუშაობა
- ინტერდისციპლინური მიდგომის გამოყენება
- ჯგუფური პროცესებისა და ჯგუფს შიგნით ინტერაქციის მართვა
- შეეძლოს იმოქმედოს, როგორც მწვრთნელმა (და არა, როგორც ლექტორმა)

ეს უნარები სულაც არაა მხოლოდ სამეწარმეო სწავლებასთან კავშირში მასწავლებლების პირველადი განათლების სასწავლო პროგრამაში, თუმცა ამ უნარების დაუფლება გადამწყვეტია, რათა მასწავლებლებმა სტუდენტების სწავლებისადმი სამეწარმეო მიდგომით ჩართვა შეძლონ.

დანიაში, ესტონეთში, ლატვიაში, პოლონეთსა და ნორვეგიაში ცენტრალურ დონეზე მოითხოვება მასწავლებლების მომზადების პროგრამებში ჩამოთვლილი უნარებიდან ოთხის ჩართვა მაინც. ესპანეთსა და მალტაში ხუთივე უნარის გამომუშავებაა აუცილებელი მომავალი მასწავლებლებისათვის. უმრავლეს შემთხვევებში, ცენტრალური რეკომენდაციები ეხება დაწყებითი და საბაზო საფეხურების ყველა საგნის მასწავლებელს.

როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყნების დიდ ნაწილში მასწავლებლების მომზადების ინსტიტუტებს მინიჭებული აქვთ ავტონომია და მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ცენტრალური დოკუმენტები არ ასახავდეს ამ უნარების სწავლებას, არ ნიშნავს, რომ ინსტიტუტები არ უზრუნველყოფენ მასწავლებლებისთვის ამ მიმართულებით განმავითარებელ აქტივობებს.

4.2 მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების კურსები (CPD courses)

სკოლებში სამეწარმეო განათლების განვითარებისთვის, საჭიროა არამხოლოდ მომავალი მასწავლებლების დატრენინგება, არამედ შესაძლებლობების შექმნა უკვე მოქმედი მასწავლებლებისთვისაც.

28 ქვეყანა/რეგიონი აორგანიზებს სამეწარმეო განათლების შესახებ უწყვეტი პროფესიული განვითარების კურსებს. აქედან 15–ში იგი ხელმისაწვდომია დაწყებითი და საბაზო საფეხურის მასწავლებლებისთვის (მათ შორის, დანია, ხორვატია, ლატვია, მალტა, პოლონეთი, ისლანდია, მონტენეგრო, თურქეთი და სხვ.), ბულგარეთსა და ესპანეთში ასეთი კურსები ზოგად განათლებაში ჩართული ყველა მასწავლებლისთვისაა უზრუნველყოფილი, 5 ქვეყანა/რეგიონში კი შემოთავაზებული შესაძლებლობები კონკრეტულ საგნებს ებმის, მაგალითად, ავსტრიაში მეწარმეობის შესახებ პროფესიული კურსები შეთავაზებულია მხოლოდ ეკონომიკისა და მეწარმეობის მასწავლებლებისთვის, ლიტვაში - გეოგრაფიის და ეკონომიკის მასწავლებლებისთვის.

სწავლება, შესაძლოა, სხვადასხვა ფორმით იყოს მოცემულ. ტრენინგის პროგრამები იცვლებოდეს წლიდან წლამდე, ორგანიზებული იყოს განათლებაზე პასუხისმგებელი სამინისტროს ან უნივერსიტეტების მიერ. ზოგ ქვეყანაში უწყვეტი პროფესიული განვითარების კურსებს, შესაძლოა, მართავდნენ ინსტიტუტები, რომლებიც სამეწარმეო განათლების ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებენ (მაგ: CERPEP საფრანგეთში).

ზოგ ქვეყანაში კომპანიებში ვიზიტი ამ კურსების ნაწილია. მასწავლებლებს შესაძლებლობა ეძლევათ, დააკვირდნენ კომპანიის მუშაობას და ამგვარად მიიღონ იდეები ინოვაციური სწავლებისა და ხელმძღვანელობისათვის (მაგ: ჩეხეთში პროეტი „Internships in Companies – Education practice 2”, საფრანგეთში CERPEP

მასწავლებლებისთვის მინიმუმ ერთ და მაქსიმუმ ხუთდღიან ვიზიტებს აორგანიზებს, დიდ ბრიტანეთში, კერძოდ, შოტლანდიაში კი ორდღიანი ვიზიტები EEBL-ის ორგანიზებით ხორციელდება).

4.3 მასწავლებლების მხარდაჭერა

ცენტრალურ ხელისუფლებას სამეწარმეო განათლების დანერგვის მხარდაჭერა შეუძლია, ასევე, სახელმძღვანელოების, სასწავლო რესურსების, საექსპერტო ცენტრებისა ან/და მასწავლებელთა გაერთიანებების შექმნით, რაც მათ საქმიანობაში დაეხმარებოდათ.

სასწავლო რესურსები

ცენტრალური ხელისუფლებების მხარდაჭერა ყველაზე ხშირად სასწავლო რესურსების შექმნაში გამოიხატება, ამ გზას 17 ქვეყანა/რეგიონი მიმართავს, თუმცა მას სხვადასხვანაირად ახორციელებენ, ზოგმა სტრუქტურული პარტნიორობა სამეწარმეო სფეროში მოღვაწე სპეციალიზირებულ ასოციაციებთან დაამყარა (მაგ: ბელგია, ავსტრია, ბოსნია და ჰერცოგოვინა).

დანიასა და მონტენეგროში ცენტრალური ხელისუფლება თვითონ ქმნის სასწავლო რესურსებს, რაც მათ ვებგვერდებზეა ხელმისაწვდომი. ბულგარეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამაც შეადგინა ამგვარი სახელმძღვანელოები, თუმცა მხოლოდ იმ მასწავლებლებისთვის იყო ღია, ვინც მეწარმეობის უწყვეტი პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობდა.

გარდა ამისა, ქვეყნები რესურსების გავრცელებასაც განსხვავებული გზებით ახდენენ. მაგალითად, დანიაში, სამეწარმეო განათლების სასწავლო მასალები ხელმისაწვდომია National Resource Centre პორტალის კონკრეტულ სექციაში, რომელიც პირდაპირ ხელისუფლებისგან იმართება. ესტონეთში School Life Portal (Koolielu) უზრუნველყოფს მეწარმეობის შესახებ სხვადასხვა მასალაზე წვდომას. პოლონეთში, პორტუგალიაში რუმინეთსა და სერბეთში მთავრობის წარმომადგენლები სასკოლო პროგრამებისთვის რეკომენდებული სახელმძღვანელოების, მათ შორის, მეწარმეობის, ოფიციალურ სიას ქმნიან.

რა თქმა უნდა, სასწავლო მასალების განვითარება ცენტრალური ხელისუფლების დამოუკიდებლადაც ხორციელდება. მაგალითად დანიაში, ესპანეთში, ლიტვასა და ნორვეგიაში აცხადებენ, რომ სასწავლო მასალებზე მომუშავე კერძო გამომცემლების რიცხვი მზარდია. არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ასოციაციებიც ქმნიან ამგვარ რესურსებს და ხშირად, უფასოდ ავრცელებენ (Junior Achievement, SEECEL).

მეწარმეობის სწავლების სახელმძღვანელოები

სახელმძღვანელოები მეწარმეობის სწავლებისთვის 12 ქვეყანაშია ხელმისაწვდომი. აქედან ექვსში ცალკეული პუბლიკაციის - ნაბეჭდი სახით (ჩეხეთი) ან ონლაინაა (დანია, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი - შოტლანდია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, მონტენეგრო) განთავსებული. ლიტვაში, პოლონეთში, რუმინეთსა და სლოვენიაში გაიდლაინები კურიკულუმშია ინტეგრირებული, ხოლო ბულგარეთში მასწავლებლების მომზადების შესახებ სახელმძღვანელოებშია ასახული.

ხუთ ქვეყანაში ცენტრალურ დონეზე საერთოდ არ არსებობს რაიმე მითითება კურიკულუმის არცერთ სფეროში (ბელგიის ფლამანდური თემი, ხორვატია, შვედეთი, ისლანდია და ნორვეგია).

ექსპერტიზის ცენტრები (Centres of expertise)

ტრადიციული სასწავლო რესურსცენტრების გარდა, რომლებიც საგნების, მათ შორის, მეწარმეობის, სხვადასხვა სასწავლო მასალებზე წვდომას უზრუნველყოფენ, 11 ქვეყანაში არსებობს ინსტიტუტები, რომლებიც უშუალოდ მეწარმეობაზე არიან ორიენტირებული და მოქმედებენ, როგორც ექსპერტები ამ სფეროს სწავლების საკითხში.

რუმინეთში პროექტ Practice Enterprise ფარგლებში შექმნილი სასწავლო რესურსებისა და მეთოდოლოგიის გავრცელების მიზნით, 15 რეგიონული ცენტრი დაარსდა. ცენტრალური ხელისუფლება ახალისებს ამ რეგიონალურ აქტივობებს აორგანიზებს რა სამეწარმეო თემების შესახებ კონკურსებს და მონიტორინგს უწევს, თუ რა წვლილი შეაქვს ამ აქტივობებს მეწარმეობრივი სულის განვითარებაში.

ფინეთში ექსპერტიზის ცენტრის ფუნქციას ასრულებს YES-The virtual Learning Environment for Entrepreneurship Education, რომელიც 2001 წელს დაარსდა და ფინანსდება ევროპის სოციალური ფონდიდან (Europe Social Funds).

გაერთიანებულ სამეფოში ასეთი ცენტრები არ არსებობს, თუმცა უელსში და შოტლანდიაში შექმნილია სპეციალური ვებგვერდები, რომლებიც არამხოლოდ მეწარმეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფენ, არამედ ახალისებენ კიდეც გამოცდილების გაცვლას სპეციალიზირებული ინსტიტუტების მხარდაჭერით (მაგ: Scotland's Enterprising Schools).

მასწავლებელთა გაერთიანებები

მასწავლებელთა გაერთიანებები მათი მხარდაჭერის ფორმებს შორის ყველაზე ნაკლებადაა განვითარებული, თუმცა ის შესაძლოა, ძალიან მნიშვნელოვანი და ეფექტიანი ინსტრუმენტი იყოს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისათვის, საკითხზე ხელმისაწვდომობის ფასილიტირებისათვის და გამოცდილ და ახალბედა მსაწავლებლებს შორის კავშირების დამყარებისათვის.

მასწავლებელთა გაერთიანებების ცენტრალურ დონეზე მხარდაჭერილ მაგალითებს მხოლოდ ოთხ ქვეყანაში ვხვდებით:

დანიის მეწარმეობის ფონდმა (FFE) სამეწარმეო განათლებისთვის მასწავლებლების სპეციალური გაერთიანება შექმნა („Network for Entrepreneurship in Schools and Education"), რომელიც ღიაა ყველა მასწავლებლისთვის, ვინც მეწარმეობას ასწავლის, მიუხედავად სწავლების საფეხურისა.

ესტონეთში დაწყებითი და საბაზო საფეხურის მასწავლებლებისთვის ასეთი ქსელი Junior Achievement Estonia-მ დააორგანიზა. მასწავლებლები წელიწადში ერთხელ იკრიბებიან, რათა განიხილონ მიმდინარე პრობლემები და განივითარონ ცოდნა და უნარები. დამატებით, „ეკონომიკის მასწავლებლების ასოციაცია" რომელიც საშუალო საფეხურის ბევრ მასწავლებელს აერთიანებს და ასევე, რთავს საბაზო საფეხურის პედაგოგებსაც, მჭიდროდ თანამშრომლობს Junior Achievement Estonia-სთან სამეწარმეო საკითხების ირგვლივ.

ესპანეთის ზოგიერთ ავტონომიურ საზოგადოებაში შექმნილია მასწავლებელთა გაერთიანებები - მაგალითად, ესტრემადურაში სკოლებს შეუძლიათ, შეუერთდნენ 2001 წელს დაარსებულ ქსელს - „Network for Entrepreneurial Schools". ჩართული სკოლები და მასწავლებლები აკრედიტაციის პროცესს გადიან.

საფრანგეთში „პროფესიული ცოდნისა და ინოვაციის, კვლევისა და ექსპერიმენტირების გაცვლით ქსელი" (RESPIRE) მიზნად ისახავს კოლაბორაციული მუშაობის განვითარებასა და პროფესიული გაზიარების ჯგუფების შექმნას, მათ შორის, საკითხზე - „მეწარმეობა სკოლებში". ეს გაერთიანება 2012 წელს შეიქმნა განათლების სამინისტროს მიერ და 3600-ზე მეტი აქტიურ წევრს ითვლის.

იმისათვის, რომ სამეწარმეო განათლება ძირითად მიმართულებად (მეინსტრიმულად) იქნას მიჩნეული, ევროპული სკოლის კურიკულუმში სახეზე უნდა იყოს მრავალი სხვადასხვა მახასიათებელი. სწორედ ამგვარი ელემენტების მიმოხილვას აერთიანებს „პროგრესიის მოდელი“:

ეტაპი	პერიოდი	საკვანძო მახასიათებლები
პრესტრატეგიული (ინდივიდუალურ ინიციატივაზე დაფუძნებული)	დაწყებული	› სტრატეგია არ არის › სამინისტროთაშორისი კოოპერაცია არ არის, ან არაეფექტიანია › არ არის გამოყოფილი დაფინანსება › კურიკულუმში მწირია სამეწარმეო განათლებისადმი სტრატეგიული მიდგომა › მეტად არის ფოკუსირებული საშუალო განათლებაზე და კონკრეტულ საგნებზე › ხშირად წარმოდგენილია ძირითადი პროგრამის მიღმა, როგორც კურიკულუმს გარე აქტივობა › დამოკიდებულია ცალკეული მასწავლებლის ენთუზიაზმზე › სამეწარმეო განათლების სწავლის შედეგებისა ან მათი შეფასების მტკიცებულება მწირია › მასწავლებლების ტრენინგი, რესურსები და კავშირები სუსტადაა წარმოდგენილი
სტრატეგიის შემუშავების	0-2 წელი	› სამეწარმეო განათლების მიზნების იდენტიფიკაცია და შეთანხმება › სტრატეგიული მიდგომა ან დაგეგმილია ან ახლახან დაწყებული › ძირითადი სამინისტროების შორის კოოპერაციისთვის მექანიზმები შემუშავებულია › სამეწარმეო განათლების ანალიზი. კარგი პრაქტიკის მაგალითები იდენტიფიცირებულია › სახელმწიფო/ევროპის დაფინანსების წყაროები მოძიებულია › სამეწარმეო განათლება, როგორც კომპეტენციათა ერთობლიობა, კურიკულუმში ინტეგრირების პროცესშია › მასწავლებელთა საბაზო მომზადებისა და პროფესიული განვითარების კურსებში ვლინდება გარკვეული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები › მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია საჭირო ინფორმაცია და რესურსი. მაგ: › სახელმძღვანელოები/სწავლების მეთოდები
სტრატეგიის კონსოლიდაცია - პროგრესული დანერგვა და პრაქტიკის განვითარება	2-5 წელი	› სწავლის შედეგები კონკრეტულია › სამეწარმეო განათლების ამოცანები, ინდიკატორები და სამიზნეები იდენტიფიცირებულია › სახელმწიფო/ევროპის დაფინანსება გამოყოფილია › სამეწარმეო განათლება კურიკულუმში ჩაშენებულია, როგორც სწავლების ზოგადი კონცეფცია და ასევე, ისწავლება ცალკეულ საგნად › მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია მხარდამჭერი რესურსები და კავშირები

ეტაპი	პერიოდი	საკვანძო მახასიათებლები
ძირითადი მიმართულება (მეინსტრიმული)	5 წელზე მეტი	› კონკრეტული/ფართო სტრატეგია კარგად არის ჩამოყალიბებული და მოიცავს სამეწარმეო განათლების შესახებ მრავალ მოქმედებას › მუდმივად ხდება სამეწარმეო განათლების მონიტორინგი, რათა შეფასდეს აქტივობების ხარისხი და დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევა › ჩამოყალიბებულია დაფინანსების მტკიცე მექანიზმები › ხარისხიანი სამეწარმეო განათლება ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის/სტუდენტისთვის, განათლების საფეხურისა და ტიპის მიუხედავად › ყველა მასწავლებელი იღებს სამეწარმეო განათლებას მასწავლებლის მომზადების საბაზო პროგრამისა და პროფესიული განვითარების კურსების ფარგლებში › ჩამოყალიბებულია ძლიერი კავშირები და მიწოდებულია ამომწურავი ინფორმაცია სწავლების ეფექტიანი მეთოდების რესურსებთან მიმართებით

ქვეყნებსა და რეგიონებს სამეწარმეო განათლების მხრივ სხვადასხვა საწყისი პოზიციები აქვთ და ასევე, პოლიტიკის ან პრაქტიკის კონკრეტული ასპექტის თვალსაზრისით, შესაძლოა სიმწიფის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებოდნენ.

5.1 სტრატეგია

როდესაც სტრატეგიები რამდენიმე წლის განმავლობაში ხორციელდება, ქვეყნებმა შესაძლოა, მიაღწიონ კონსოლიდაციის ეტაპს სტრატეგიული მოქმედებებისა და პრაქტიკის განვითარების პროგრესული დანერგვით. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია სწავლის შედეგების კონკრეტიკა, დაფინანსების წყაროების განვითარება, ეფექტიანი სწავლების მეთოდების გამოყენება და მასწავლებლების მხარდაჭერის მექანიზმების არსებობა (როგორიცაა სასწავლო რესურსები ან ექსპერტიზის ცენტრები).

მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, სამეწარმეო განათლებასთან დაკავშირებული სტრატეგია ბევრ ქვეყანას აქვს, მხედველობაში მისაღებია ორი ფაქტორი: პირველი - ფართო სტრატეგიები არ მოიცავს ერთ ან ორ სავალდებულო მოქმედებაზე მეტს ამ მიმართულებით, შესაბამისად, ისინი ვერ მოახდენენ ფართო იმპაქტის დემონსტრირებას. ასევე, შესაძლოა, მიზნები არ იყოს მკაფიო და იფარებოდეს სხვა სტრატეგიებით, რაც სირთულეს ქმნის მონიტორინგის თვალსაზრისით. მეორე, სადაც კონკრეტული სტრატეგიები სამეწარმეო განათლებისა უფრო მეტ მოქმედებას მოიცავს, ეს ყოველთვის არ ითარგმნება თვალსაჩინო აქტივობად. ამგვარი სტრატეგიების უმრავლესობა ხაზს უსვამს მოქმედებას პრაქტიკული მეწარმეობის გამოცდილების მხრივ, თუმცა მათგან ნახევარს ძალიან მწირი ან სრულებითაც არ აქვს მისი განხორციელების მტკიცებულება.

თუმცა, არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, აქტივობის საერთო დონე მეტია ქვეყნებში, სადაც არსებობს სამეწარმეო განათლების კონკრეტული სტრატეგია და ყველაზე დაბალია იქ, სადაც ასეთი სტრატეგია საერთოდ არ არსებობს.

5.2 დაფინანსება

„პროგრესიის მოდელის“ მიხედვით, ამ მიმართულებით ევროპის ქვეყნების უმრავლესობა წარმატებით ვითარდება, თუმცა მიუხედავად ამისა, დაფინანსების სტაბილურ, გრძელვადიან წყაროებზე მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფდა სამეწარმეო განათლების თანმიმდევრულობას (რაც მოიცავდა სტრატეგიის იმპლემენტაციას, კურიკულუმს, მასწავლებლების განათლებასა და მხარდაჭერას, დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობის დამყარებას და ა.შ.) ჯერ კიდევ საჭიროებს გაძლიერებას.

ქვეყნების/რეგიონების უმრავლესობა (რომელთა დიდ ნაწილსაც აქვს კონკრეტული ან ფართო სტრატეგია), სამეწარმეო განათლებისთვის თანხებს სახელმწიფო წყაროებიდან ან ევროპის ფონდებისგან (არაპირდაპირი) იღებს.

5.3 კუთიკუღუმი

აღნიშნული კვლევის შედეგების მიხედვით, ქვეყნები/რეგიონები რომლებიც სამეწარმეო განვითარების საწყის ეტაპზე არიან, როგორც წესი, მეწარმეობის საგანს წარმოადგენენ, როგორც ძირითად პროგრამაზე დამატებას. ფოკუსი მეტწილად სამეწარმეო განათლების უფრო ვიწრო გაგებაზეა მიმართული, რომელიც მეტ აქცენტს აკეთებს ბიზნესის მართვის სწავლებაზე. განვითარების მომდევნო საფეხურებზე მდგომი ქვეყნები კი სამეწარმეო უნარების სწავლებას არამხოლოდ ცალკეული საგნის ფორმით, არამედ ამთელი პროგრამის ფარგლებშიც ახორციელებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ სამეწარმეო უნარების განვითარება უნდა იწყებოდეს დაწყებით საფეხურიდანვე. ამ მხრივ, პოზიტიური ტენდენცია შეინიშნება, რადგან სამეწარმეო განათლება უფროდაუფრო მეტად ხდება ინტეგრირებული დაწყებითი განათლების პროგრამებში. განვითარების ბოლო ეტაპი კი ამ ორივე მიდგომის კომბინაციას გულისხმობს.

ბევრ ქვეყანაში სკოლებსა და მასწავლებლებს აქვთ ავტონომია, გადაწყვიტონ, სწავლების რომელი მეთოდები გამოიყენონ. მართალია, ოფიციალურ დოკუმენტებში სამეწარმეო განათლების შესახებ ჩანაწერი უკვე გულისხმობს იმას, რომ იგი ისწავლება, თუმცა ის, თუ რამდენად რელევანტურ მეთოდებს იყენებენ მათ სასწავლებლად, შესაძლოა, პრაქტიკაში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. მიუხედავად ამისა, თუ სამეწარმეო განათლება ექსპლიციტურად არის გამოსახული კურიკულუმში და სწავლება-სწავლის მეთოდები ცენტრალურადაა რეკომენდებული, ეს იმის ინდიკატორს წარმოადგენს, რომ განათლების პოლიტიკის შემქმნელებმა სამეწარმეო განათლების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწიეს.

პროგრამული მიდგომისა და სწავლების მეთოდებთან ერთად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კარგადაა სამეწარმეო განათლება კურიკულუმში ჩაშენებული, არის სამეწარმეო უნარებთან დაკავშირებული ექსპლიციტურად გამოხატული სწავლის შედეგები. ამ სამი ასპექტის გაანალიზებისათვის და იმის გასაგებად, თუ რამდენად ღრმად ან თანმიმდევრულადაა სამეწარმეო განათლება პროგრამაში ინტეგრირებული, შემდეგი კრიტერიუმები იქნა შემოღებული:

- არის თუ არა კროსპროგრამული მიდგომა ან/და სავალდებულო საგნები ჩაშენებული კურიკულუმში მინიმუმ სამ საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო, სკოლის ბაზაზე განხორციელებული პროფესიული).
- არსებობს თუ არა სამეწარმეო სწავლება-სწავლის მეთოდების შესახებ სახელმძღვანელო ცენტრალურ დონეზე მინიმუმ სამი საფეხურისთვის.
- არის თუ არა კროსპროგრამულად და/ან სავალდებულო საგნებში სამეწარმეო განათლების შესახებ სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული მინიმუმ ორ სფეხურზე და თუ ფასდება.

სამივე კრიტერიუმს არცერთი ქვეყანა არ აკმაყოფილებს. მცირე რაოდენობა აკმაყოფილებს ორ მათგანს (კურიკულუმისადმი მიდგომა და სწავლების მეთოდები).

პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილება ჯერ კიდევ იშვიათად არის ინტეგრირებული ძირითად საწავლო პროგრამაში.

რაც შეეხება სწავლის შედეგებს, ზოგ ქვეყანაში ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი მინიმუმ ორ საფეხურზე (ესპანეთი, საფრანგეთი, ლატვია, პოლონეთი, სლოვენია, ფინეთი და შოტლანდია), თუმცა, სამეწარმეო განათლების სწავლის შედეგების კონკრეტული შეფასება ჯერჯერობით არცერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა.

5.4 მასწავლებლები

ანალიზი აჩვენებს, რომ, ამ მხრივ, ბევრი ქვეყანა ჯერ ისევ საწყის პოზიციებზეა განლაგებული. ცენტრალური რეკომენდაციების დონეზე სამეწარმეო განათლება, როგორც მასწავლებლის მომზადების პროგრამების სავალდებულო ნაწილი ყველა მომავალი მასწავლებლისათვის, მიუხედავად საგნისა და სწავლების საფეხურისა, მხოლოდ ესტონეთში გვხვდება.

თუმცა ქვეყნები/რეგიონები რომლებიც პროგრესიის მოდელის მეორე ეტაპზე იმყოფებიან, აცნობიერებენ მასწავლებლების ცენტრალურ როლს თავიანთ სტრატეგიებში და უწყვეტი პროფესიული განვითარების კურსების ფარგლებში გარკვეული აქტივობების შეთავაზება და სასწავლო რესურსების განვითარება უკვე დაიწყეს. მასწავლებლების მხარდაჭერის ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმა სასწავლო რესურსების შექმნა და დაფინანსებაა.

სტრატეგიის კონსოლიდაციის ეტაპი გულისხმობს, რომ სამეწარმეო განათლების შესახებ ტრენინგები ფარავს ყველა დაინტერესებულ მასწავლებელს და სახელმძღვანელოები და ექსპერტიზის ცენტრები ან მასწავლებელთა გაერთიანებები მათ ეხმარებიან სამეწარმეო განათლების კურიკულუმში იმპლემენტაციაში. მასწავლებლების მხარდაჭერა, ამ ეტაპზე, ყველაზე ნაკლებად განვითარებული სფეროა სამეწარმეო განათლებაში და არცერთი ქვეყანა/რეგიონი არ სთავაზობს მრავალმხრივ მხარდაჭერას, რომელიც ყველა მასწავლებელს მოიცავდა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ევრიდიკეს ანგარიშის შემოკლებულ, ადაპტირებულ თარგმანს. სრული ვერსიის ნახვა შეგიძლიათ აქ

წყარო:

European Commission/EACEA/Eurydice, 2016. Entrepreneurship Education at School in Europe.
Eurydice Report. Luxembourg: Publications Office of the European Union.

ctc
Empowering People for Change

SKOLA-LAB
სკოლა-ლაბი